

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
(სისხლის სამართლის მიმართულება)



დაკავების როგორც საპროცესო იძულების ღონისძიების საკანონმდებლო
რეგლამენტაცია და პრაქტიკულ-სამართლებრივი ასპექტები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ირინა აქუბარდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორი: ელგუჯა თავბერიძე

თბილისი
2019 წ.

სარჩევი

შესავალი.....	5
I თავი. დაკავება როგორც თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა.....	6
1.1 მიმოსვლის თავისუფლების ცნება	6
1.2 თავისუფლების კონსტიტუციური ბუნება	7
1.3 პიროვნების თავისუფლება როგორც „ევროპული კონვენციით“ დაცული უფლება.....	10
1.4 დაკავება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება ...	13
II თავი. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით.....	15
2.1. დასაბუთებული ვარაუდი როგორც აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი	15
2.2 სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობა	19
2.3. პირის მიმალვის საფრთხის არსებობა.....	21
2.4. სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროება	23
2.5. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება	24
2.6. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საკითხის განხილვა.....	26
2.7. განჩინების გამოტანის ფორმა და წესი	28
III თავი. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე.....	31
3.1. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფაქტობრივი საფუძვლები	31
3.2. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფორმალური საფუძვლები	33
3.2.1. პირის დაკავება დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე.....	33
3.2.2. დანაშაულის ჩადენის ადგილას მყოფი პირის დაკავება.....	35
3.2.3. პირის დაკავება დანაშაულის აშკარა კვალის არსებობის დროს	37
3.2.4. ამოცნობა როგორც დაკავების საფუძველი	37
3.2.5. მიმალვის საფრთხის არსებობისას პირის დაკავება	40
3.2.6. ძებნილი პირის დაკავება.....	42
3.2.7. პირის დაკავება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის დროს	43
IV თავი. დაკავების წესი	45
4.1. დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.....	45

4.2. გასაგები ფორმით დაკავების საფუძვლის შეტყობინება	47
4.3. სსკ-ით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის განმარტება	49
4.4. დაკავებულის უფლებები	50
4.5. დაკავების ოქმი და მისი სავალდებულო რეკვიზიტები	53
4.6. დაკავების ვადა	55
4.7. დაკავებიდან გათავისუფლება	57
4.8. უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების უფლება	59
თავი V. დაკავება საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით და დადგენილი	
სტანდარტები	61
5.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან	
დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები	61
5.2. სხვა საერთაშორისო რეგულაციები და აქტები	63
თავი VI. დაკავების წესი საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.....	65
6.1. დაკავების წესი ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში.....	66
6.2. დაკავების წესი რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში.....	67
თავი VII. დაკავების სტატისტიკური ანალიზი	69
დასკვნა	71
ბიბლიოგრაფია	75

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი (აბრევიატურა):

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 04 ნოემბრის ევროპული კონვენცია

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

რომის სტატუტი - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის წესდება

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

იხ. - იხილეთ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესავალი

თემის აქტუალობა. პირის დაკავება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განხორციელდეს მხოლოდ როგორც ultima ratio. შესაბამისად, თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას - მის თავისუფლებას. პიროვნება ძალიან მგრძობიარედ რეაგირებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც რაღაც დოზით მაინც საფრთხეს უქმნის მის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს - საკუთარ თავისუფლებას. პირის დაკავება კი სწორედ ამ საფრთხეების რეალიზების წინაპირობაა. შესაბამისად, სახელმწიფო და თითოეული სამართალდამცავი (დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი) ადამიანის დაკავების დროს განსჯვალული უნდა იყოს კანონის უზენაესობის გრძობით და ყოველგვარი თვითნებობა თავშივე უნდა იქნას აღკვეთილი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დაკავების მომენტში, უფლებებით და ვალდებულებებით აღიჭურვება როგორც სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი, ასევე, დაკავებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, წინამდებარე ნაშრომი სწორედ, რომ საკანონმდებლო რეგლამენტაციის და პრაქტიკულ - სამართლებრივ ასპექტში ყოფილიყო განხილული.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საკანონმდებლო რეგლამენტაციის პრაქტიკასთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განხილული იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზები, პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულებები/მიდგომები და მათი ურთიერთკავშირი. გაანალიზებული იქნება შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, საერთო სასამართლოების პრაქტიკა და დაკავების სტატისტიკა.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებული იქნა შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-დოგმატური, იურიდიულ-განმარტებითი და ტელეოლოგიური კვლევის მეთოდები. ნაშრომი მოიცავს როგორც საერთო სასამართლოების, ასევე, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, რაც პრაქტიკულ ჭრილში მნიშვნელოვანი ანალიზების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალის, შვიდი თავის და დასკვნითი ნაწილებისგან. ხსენებული შვიდი თავი, თავის მხრივ, მოიცავს ქვე-თავებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს სიღრმისეულად განვიხილოთ ესა თუ ის საკვანძო საკითხი. პირველ თავში, დაკავება განხილული იქნება თავისუფლების უფლების ჭრილში როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. მეორე თავი, შეეხება სანქცირებულ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, პირის დაკავებას. აღნიშნულ თავში წარმოდგენილ ქვეთავებში საკმარისად იქნება განხილული სანქცირებული დაკავებისათვის საჭირო შესაბამისი საფუძვლები, ასევე, მოსამართლის მიერ პირის დაკავების შესახებ განჩინების გამოტანის ფორმა და წესი. მესამე თავი იქნება ყველაზე მოკულობითი, რადგან ადამიანის უფლებებში თვითნებური ჩარევის თვალსაზრისით,

სწორედ არასანქცირებული დაკავება წარმოადგენს ყველაზე მეტად მრავალი საფრთხის შემცველ აქტორს. მეოთხე თავში დეტალურად მიმოვიხილავთ დაკავების და დაკავებიდან გათავისუფლების წესს და მათთან დაკავშირებულ პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს. ასევე, უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების უფლებას. შემდგომი (VI-VII) თავები დაეთმობა შედარებით-სამართლებრივ ანალიზს. განხილული იქნება დაკავების საერთაშორისო სტანდარტები და დაკავების წესი ანგლო-ამერიკული და რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში. ბოლო, მეშვიდე თავში კი, მოვახდენთ დაკავების სტატისტიკურ ანალიზს. დასკვნით ნაწილში მთლიანობაში მოკლედ შეფასდება ზემოაღნიშნული საკითხები და გაეცემა კითხვას პასუხი, მიღწეულ იქნა თუ არა ნაშრომში დასახული მიზნები.

I თავი. დაკავება როგორც თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა

1.1 მიმოსვლის თავისუფლების ცნება

მიმოსვლის თავისუფლების ცნების განხილვა აუცილებელი და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. შესაბამისად, თუ პირს შეზღუდული არ აქვს მიმოსვლის თავისუფლება და თავისუფლად შეუძლია გადაადგილდეს მისთვის სასურველ ნებისმიერ ადგილას, აღნიშნული პირის დაკავებულად არ/ვერ ჩაითვლება.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თავად „თავისუფლების“ არსი. თავისუფლება გულისხმობს იძულების, ძალდატანების არარსებობას. იგი ისეთი უფლებრივი მდგომარეობაა, რომელიც უზრუნველყოფს დაუბრკოლებლად მოქმედებას.¹

შინაარსის მიხედვით „თავისუფლება“ უმთავრესად გულისხმობს ინდივიდუალური არჩევანის ფართო შესაძლებლობას კონკრეტულ შედეგზე მითითების გარეშე. შესაბამისად, თავისუფლება დამოუკიდებლობის გამომხატველია და მიმოსვლაც ასეთივე მდგომარეობა თუ პროცესია და არა კონკრეტული შედეგი.²

თავად მიმოსვლა კი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს მისვლა-მოსვლას, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ნებაყოფლობით მოქმედებასთან. „მიმოსვლის თავისუფლების“ ცნებაში განმსაზღვრელი სიტყვაა „თავისუფლება“.

მიმოსვლის თავისუფლება გულისხმობს პირის დაუბრკოლებელ მოძრაობას ქვეყნის შიგნით და ასევე მისი ფარგლების დატოვების შესაძლებლობას. თუმცა, რა თქმა უნდა,

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955, სვ. 251

² მ/მარინაშვილი, მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 54 - 55

გვესმის, რომ მიმოსვლის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის უფლება, რომლის შეზღუდვა და რომელშიც ჩარევაც დაუშვებელია. სახელმწიფოს უფლება აქვს კანონისმიერი საფუძვლების არსებობისას პირს შეზღუდოს თავისუფალი მიმოსვლის უფლება და საბოლოოდ, აღუკვეთოს კიდევ ეს უკანასკნელი.

აქედან გამომდინარე, იმ დროს, როდესაც დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი გასაგები ფორმით განმარტავს დაკავების საფუძველს, აღნიშნული მომენტიდან პირს ეზღუდება/ესპობა მიმოსვლის თავისუფლება, ანუ დაუბრკოლებელი მოძრაობის შესაძლებლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მისი ფარგლების გარეთ. დაკავებული პირი ვალდებული ხდება, რომ დაემორჩილოს სამართალდამცავების მიერ მოთხოვნილ კანონიერ ქმედებებს, რომელთაგან ერთ-ერთი, ასევე ეხება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გაყოლას, რის შესაბამისადაც მას თავად აღარ შეუძლია განსაზღვროს გადაადგილების მიმართულება. სწორედ ამიტომაც, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან პირი ითვლება დაკავებულად.

1.2 თავისუფლების კონსტიტუციური ბუნება

მოქმედი საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. შესაბამისად, დაკავება გარდაუვლად არის დაკავშირებული ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვასთან/მის ხანმოკლე აღკვეთასთან. დაკავების დროს იზღუდება საქართველოს კონსტიტუციით პირისათვის მინიჭებული ერთ-ერთი უმთავრესი უფლება - მისი თავისუფლება. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დაკავება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანისთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების ხელყოფასთან. შესაბამისად, თავშივე მნიშვნელოვანია, რომ საუბარი გვექონდეს თავისუფლების კონსტიტუციურ ბუნებაზე.

საქართველო კონსტიტუციის მოქმედის რედაქციის (ამოქმედდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ახალარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების (ინაუგურაციის) შემდეგ - 2018 წლის 16 დეკემბერს) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის თავისუფლება დაცულია. საინტერესოა, რომ კონსტიტუციის წინა რედაქციის მე-18 მუხლის მიხედვით, რომელიც იდენტურ საკითხს ითვალისწინებდა, ხსენებული ნორმა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“. შესაბამისად, აღნიშნულ ნორმაში სიტყვა „ხელშეუვალი“ შეცვალა სიტყვა „დაცულიამ“, რაც სწორად გადადგმულ ნაბიჯად უნდა შევაფასოთ, რადგან ხელშეუვალობა უფრო მეტად გულისხმობს აბსოლუტურობას. მაგალითად, წამების უფლება არის აბსოლუტური ხასიათის უფლება, რომელიც ხელშეუვალია და არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული დაცულ სფეროში ჩარევა, ხოლო რაც შეეხება

ადამიანის თავისუფლებას, აღნიშნული არ არის აბსოლუტური³ უფლება და იგი შეიძლება შეზღუდულ და აღკვეთილ იქნას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, ადამიანის თავისუფლება არ არის ხელშეუვალი, არამედ იგი არის დაცული კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლით, ხოლო აღნიშნულ დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონისმიერი საფუძველი/საფუძვლები.

თავისუფლების უფლება იცავს ადამიანის თავისუფლებას და გარანტირებულია არა მარტო მატერიალური სამართლის ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმებით, რაც ხაზს უსვამს მის უმნიშვნელოვანეს ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში.⁴

საქართველო კონსტიტუციის მოქმედის რედაქციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლებრივი სიკეთეა - გადაადგილების თავისუფლება.

გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული პირის დაკავება ან დაპატიმრება შეუძლებელია, რადგან აღნიშნული (იურიდიული პირი) წარმოადგენს სამართლებრივ ფიქციას, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლი ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე.⁵

როგორც ზევით არაერთხელ აღინიშნა, კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლების უფლებას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. აღნიშნული უფლება, უპირველესყოვლისა, იცავს პირს არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან და თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისგან. განსხვავება თავისუფლების შეზღუდვასა და თავისუფლების აღკვეთას შორის მხოლოდ ხარისხობრივია. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული სიტუაცია. შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმებით: ხელყოფის სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და ფორმა.⁶

კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვა – ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ღონისძიება, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ პირის, თავისი ნების საწინააღმდეგოდ ან თავისი ნების გარეშე (სუბიექტური ელემენტი), განსაზღვრულ, შეზღუდულ ადგილას გარკვეული დროის მონაკვეთში შეკავება (ობიექტური ელემენტი).⁷

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის

³ M. W. Janis, r. S. Kay, A.W. Bradley, European Human Rights law, Text and materials, third ed. 2008, 608

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის № 2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.მე-3 პუნქტი

⁶ Iskandarov v. RUS, ECtHR, 23/10/2010, 17185/05, 139; Amuur v. FRA, ECtHR, 25/06/1996, 19776/92, 42

⁷ Storck v. DEU, ECtHR, 16/06/2005, 61603/00, 74

აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. აღნიშნული კი გულისხმობს კანონის არსებობას, განსაზღვრულობას და ხელმისაწვდომობას. თავისუფლების აღკვეთის, თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისა და მათი შეფარდების პროცედურის განმსაზღვრელი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც დაკავებას, პატიმრობასა და მის გაგრძელებას (მათ შორის, დაპატიმრების საფუძვლებს, ფორმასა და ხანგრძლივობას) არეგულირებს, უნდა იყოს მოქმედი, საკმარისად განსაზღვრული და ხელმისაწვდომი კანონი.⁸

კანონის არსებობის, განსაზღვრულობის და ხელმისაწვდომობის გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს კანონის შინაარსს. კანონით განსაზღვრული პროცესუალური დებულებები უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი, განსაკუთრებით, იგი უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპებს (მაგალითად, აუცილებელია სახელმწიფო მოხელეთა უფლებამოსილებების გარკვევით განსაზღვრა).⁹

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე პუნქტის თანახმად, დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა დაკავება განხორციელდება მოსამართლის ნებართვით, თუ მის გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, დაკავების მაქსიმალური ვადაა 72 საათი და სწორედ ამ დროში უნდა იქნეს შემონშმებული სასამართლოს მიერ პირის დაკავების კანონიერება. აღნიშნული 72 საათის შემდეგ, უკვე სასამართლო გადაწყვეტს პირის თავისუფლების ბედს. ამ კუთხით საინტერესოა ისტორიულად პირველი ძირითადი პროცესუალური უფლება habeas corpus.¹⁰ უკვე 1679 წელს ინგლისური Habeas Corpus Act გარანტიას იძლეოდა, რომ დაპატიმრება უნდა მომხდარიყო მოსამართლის მიერ და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირი სამი დღის განმავლობაში უნდა წარედგინათ მოსამართლესთან.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით, პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა

⁸ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, 2013, 142.

⁹ Soldatenko v. UKR, ECtHR, 23/10/2008, 2440/07, 111; Nasrulloev v. RUS, ECtHR, 11/10/2007, 656/06, 72

¹⁰ იხ. 1215 წლის Magna Charta-ს 39-ე მუხლი.

დაკმაყოფილდეს. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, დაკავების მომენტში პირს დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს ე.წ. „მირანდას“ უფლებები.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანხამად, მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფო იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომ მისი დარღვევის შემდეგ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა კონსტიტუციის ნორმაშივე განერა. შესაბამისად, პირის თავისუფლების უფლების დარღვევის შემთხვევაში პირის (სახელმწიფოს) კანონით დასჯადობა თავად მუხლშივეა გათვალისწინებული. ამასთან, საინტერესოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული უფლების დარღვევის შემთხვევაში, თავად კონსტიტუცია განამტკიცებს პირის მიერ კომპენსაციის მიღების უფლებას. აღნიშნულ საკითხზე უფრო დანვრილებით საუბარი გვექნება ნაშრომის 4.8 ქვეთავში.

1.3 პიროვნების თავისუფლება როგორც „ევროპული კონვენციით“ დაცული უფლება

დაკავების როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების საკანონმდებლო რეგლამენტაციის კონტექსტში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), იმდენად, რამდენადაც სწორედ ხსენებული ნორმა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკანონმდებლო საფუძველს პიროვნების თავისუფლების უფლების დაცვის კუთხით.

ნაციონალური სისხლის სამართლის ევროსაბჭოს სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის მეთოდი ახსნა-განმარტების ერთ-ერთი ხერხია, რომელიც საქართველოშიც გამოიყენება.¹¹

კონვენციის მე-5 მუხლი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი - მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი - უზრუნველყოფს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას; ხოლო მეორე ნაწილი - მე-5 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები - ადგენს პროცესუალურ გარანტიებს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რის გამოც ევროპული სასამართლო იშვიათად განასხვავებს მათ. უსაფრთხოების უფლება ნიშნავს, რომ იკრძალება პირის უკანონო დაკავება.¹²

შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლში აკუმულირებულია უფლების როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე, პროცესუალური ელემენტები.

¹¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, 127.

¹² ვ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, 2004, 143

აღნიშნული საერთაშორისო ნორმის პირველი პუნქტის მეორე წინადადება გვეუბნება, რომ არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა აღნიშნულ მუხლშივე სახელდებით მოხსენიებული კონკრეტული შემთხვევებისა და სხენებული საფუძვლების არსებობისასაც, იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული სპეციალური პროცედურის შესაბამისად. მართლაც, აღნიშნულ საკითხზე, საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება. კერძოდ, საქმეზე - ლუკანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ¹³ - ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოქმედება, რომლისთვისაც დააკავეს განმცხადებელი (რომელიც, როგორც მინისტრი, მონაწილეობდა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში), არ იყო სისხლისსამართლებრივი დანაშაული ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით. განმცხადებლის დაკავება არ შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ პროცედურას, რის გამოც ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

პიროვნების თავისუფლების ჭრილში, მნიშვნელოვანია, რომ დაკავების დროს ზუსტად იყოს განმარტებული დაკავების საფუძველი(ები). დაკავების მიზეზების შესახებ ნათლად და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს დაკავებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული პირდაპირ დაარღვევს ევროპული კონვენციის ზემოხსენებულ ნორმას. მართლაც, საქმეზე - დენიზი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ¹⁴ - განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათთვის არ უცნობებიათ დაკავების მიზეზი. ევროპული სასამართლოს განცხადებით, მოპასუხე სახელმწიფომ არ წარმოადგინა განმცხადებელთა დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერი საფუძველი, რის გამოც მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.¹⁵

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აქვე შევხვით და მიმოვიხილოთ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დაკავების სამი ალტერნატიული საფუძველი. აღნიშნული საფუძვლების ანალიზით ვაკვნიტ, რომ პირის დაკავებისათვის საკმარისია საფუძველიანი ეჭვი, ჩვენი კანონმდებლობით - დასაბუთებული ვარაუდი და არ არის აუცილებელი აღნიშნული ვარაუდი ან ეჭვი 100%-იანი სიზუსტით იყოს დამტკიცებული. აღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარეობს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის საფუძვლები, მოსამართლის განჩინებით თუ მის გარეშე პირის დაკავების დროს. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იქნას პირის სასამართლოში გამოცხადება, პირმა ხელი არ უნდა შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას და თავიდან უნდა იქნეს აცილებული პირის მიერ ახალი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა.

¹³ Loukanov v. Bulgaria, ECtHR, 16/01/1996, 21915/93

¹⁴ Denizci and Others v. Cyprus, ECtHR, 23/05/2001, 25316-25321/94, 27207/95

¹⁵ იქვე

როგორც ზევით აღინიშნა, პიროვნების თავისუფლების უფლების დაცვის კონტექტში, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი აღგენს პროცესუალურ გარანტიებსაც. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელ ენას ფლობს ადამიანი. სახელმწიფომ ყველა გონივრული საშუალება უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ხსენებულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობოს დაკავების მიზეზების და ბრალდების შესახებ. თუმცა, „დაუყოვნებლივ“ არ უნდა გავიგოთ როგორც იმნამსვე, არამედ, საქმეზე - ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹⁶ - ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას შორის შვიდ საათამდე ინტერვალი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.¹⁷

თავისუფლების აღკვეთისა და პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვაგვარი შეზღუდვის დროს პირს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია დაკავების საფუძვლისა და, ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში, მისთვის წაყენებული ბრალის შესახებ.¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის სიტყვასიტყვითი უღერადობით, პირი ინფორმირებული უნდა იქნეს მხოლოდ დაკავების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების („ბრალდების“) შესახებ, მაგრამ არა დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების (ჩვენების მიცემაზე უარის თქმის) უფლებაზე. დუმილის უფლებაზე პირის ინფორმირება, რომელიც, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1966 წლის ერთ-ერთი ცნობილი განაჩენიდან გამომდინარეობს, ცნობილია Miranda-Warning-ის სახელით,¹⁹ რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაციდანაც, როგორც დანაშაულის თვითინკრინინაციისაგან ეფექტიანი დაცვის (nemo tenetur) აუცილებელი წინაპირობა.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რომ პირი პირადად უნდა წარდგეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

საინტერესოა, რომ კონვენციის ხსენებული დანაწესი მოითხოვს დაკავებული პირის დაუყოვნებლივ წარდგენას მოსამართლის წინაშე, თუმცა, თავის მხრივ, არ აღგენს კონკრეტულ ვადას. ამ კონტექსტში, საინტერესოა, საქმე - ბროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ²⁰, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულის წარდგენა მოსამართლის წინაშე დაკავებიდან ოთხ დღესა და ექვს

¹⁶ Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, ECtHR, 30/08/1990, 12244/86; 12245/86; 12383/86

¹⁷ იქვე, 10

¹⁸ van der Leer v. NLD, ECtHR, 21/02/1990, 11509/85, 27

¹⁹ Miranda v. Arizona, 384 U. S. 438 [1966]

²⁰ Brogan v. the United Kingdom, ECtHR, 29/11/1988, 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85

საათში მეტისმეტად ხანგრძლივი დროა, რის გამოც იგი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს.²¹

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი. შესაბამისად, აღნიშნული დანაწესი პირს ანიჭებს უფლებას გაასაჩივროს მისი დაკავება/დაპატიმრება. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ დაკავება უკანანოა, პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული სასამართლო დარბაზიდან.

ხოლო, კონვენციის მე-5 მუხლის ბოლო, მე-5 აბზაცის თანახმად, ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

კომპენსაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებული საკითხი, როგორც ზევითაც აღინიშნა, უფრო დეტალურად განხილული იქნება ნაშრომის მე-4 თავის მე-8 ქვეთავში.

1.4 დაკავება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება

საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლი ეხება დაკავების ინსტიტუტს, რომლის მიხედვითაც დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული დაკავება განსხვავდება პატიმრომისგან, რომელიც წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების სახეს და განსხვავდება თავისუფლების აღკვეთისგანაც, რომელიც სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის ერთ-ერთი სახეა. შესაბამისად, დაკავება არ არის არც აღკვეთის ღონისძიება და არც სასჯელის სახე, არამედ საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავება არის სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება²², რომლის ძირითადი დამახასიათებელი და მთავარი განმასხვავებელი ზემოაღნიშნული ინსტიტუტებისგან არის მისი ხანმოკლე ხასიათი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავება განსხვავდება ადმინისტრაციული დაკავებისგანაც.

ადმინისტრაციულ დაკავებას არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.²³

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ორივე სახის დაკავებას აქვს როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები.

²¹Brogan v. the United Kingdom, ECtHR, 29/11/1988, 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85, 57

²² საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორებით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 146

²³ იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულია გამოძიება და აღნიშნული გამოძიების ფარგლებში კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებობს იმ სახის ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნულმა პირმა ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა და გარდა ამისა, არსებობს სხვა (ერთი ან რამდენიმე) შესაბამისი საფუძველი, რომელიც სახელდებით არის მოხსენიებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.²⁴

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას, აღნიშნულ დროს დაკავებული პირი ახორციელებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელიც არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან/და სხვა საკანონმდებლო აქტებით. მთავარია, რომ სსენებული ქმედება გათვალისწინებული არ უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსით, რადგან ასეთ დროს სახეზე გვექნება სისხლის სამართლებრივი დაკავება.

ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ადმინისტრაციული წესით დაკავებასა და სისხლის სამართლებრივ დაკავებას შორის არის დაკავების ვადები. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, თუ სისხლის სამართლის წესით პირის დაკავების ვადა 72 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის დაკავების ხანგრძლივობა მაქსიმუმ 12 საათია.²⁵

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, პირი, რომლის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არასამუშაო დროს ემთხვევა, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის დაკავების ვადამ, შესაძლოა, 48 საათამდეც გასტანოს.²⁶

გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დანაშაულისგან განსხვავებით ნაკლები სიძლიერით და ინტენსივობით ხასიათდება, სწორედ ამით უნდა იქნეს ახსნილი, ასეთი სხვაობა დაკავების ვადებს შორის.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი არ სარგებლობს უფასო სამედიცინო შემოწმების უფლებით.²⁷

²⁴ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი.

²⁵ იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი

²⁶ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და ითხოვს სსენებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, ვინაიდან, მათი აზრით, აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას, ვინაიდან ადგენს უთანასწორო მოპყრობას სამუშაო და არასამუშაო დროს დაკავებულ პირებს შორის.

²⁷ ანა ნაცვლიშვილი, ადამიანის უფლებები დაკავების დროს და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2017, 11

სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების საშიშროება არსებობს როგორც სისხლის სამართლებრივი დაკავების დროს, ასევე, ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისას. შესაბამისად, ვფიქრობ, ორივე შემთხვევაში უნდა იქნეს დაკავებული პირი უზრუნველყოფილი უფასო სამედიცინო შემონმების უფლებით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ორივე სახის დაკავების დროს აუცილებელია დაკავების ოქმის შედგენა. თუმცა, ადმინისტრაციული დაკავების ოქმი გაცილებით მწირ ინფორმაციას შეიცავს სისხლის სამართლის წესით დაკავებულის დაკავების ოქმისგან. მაგალითად, ადმინისტრაციული წესით პირის დაკავების დროს არ ხდება დაკავების დადასტურება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რაც სისხლის სამართლის წესით დაკავებისას აღინიშნა დაკავების ოქმში. ასევე, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში არ აისახება დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რაც კვლავ ზრდის სამართალდამცავების მხრიდან თვითნებობის საფრთხეს. ასევე, ადმინისტრაციული წესით დაკავებისას არ არის უზრუნველყოფილი დაკავების ოქმის ასლის გადაცემა დაკავებული პირისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული დაკავების დროს არსებობს მთელი რიგი საფრთხეები ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, რის გამოც ვფიქრობ, რომ ამ გარემოების მხედველობაში მიღებითაც, ადმინისტრაციული კანონმდებლობა და უფრო ზუსტად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მთელ რიგ რეფორმებს საჭიროებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით კი უნდა აღინიშნოს, რომ დაკავება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას და მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ცალკეულ შემთხვევებში, მკაცრად და ნათლად ჩამოყალიბებული საფუძვლების არსებობისას, როდესაც ვერც ერთი სხვა საშუალების გამოყენებით მიღწეული ვერ იქნება მართლმსაჯულების დროული და ჯეროვანი განხორციელება და ვერ მოხდება ახალი სამართალდარღვევის (დანაშაულის) ჩადენის პრევენცია.

II თავი. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით

2.1. დასაბუთებული ვარაუდი როგორც აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი

სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, დაკავება შეიძლება იყოს როგორც სანქცირებული, ასევე, არასანქცირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ პირის დაკავება დაშვებულია როგორც მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - სასამართლოს ნებართვის გარეშე.

სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არ აქვს მნიშვნელობა სახეზეა სანქცირებული თუ არასანქცირებული დაკავება, ორივე შემთხვევაში, უნდა არსებობდეს დასაბუთებული

ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ესე იგი, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დასაბუთებული ვარაუდი არის აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი როგორც მოსამართლის განჩინებით, ასევე, მის გარეშე პირის დაკავებისას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იქნეს დადგენილი როგორც ის ფაქტი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ასევე, ის გარემოებები, რომ პირი მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ერთ-ერთი ამ წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს.²⁸

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით, უნდა ჰქონდეთ ფაქტების ერთობლიობა ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ე.წ. მესამე თვალს, ობიექტურ დამკვირვებელს გაუჩენს ეჭვის საფუძველს, რომ შესაძლოა სწორედ ამ კონკრეტულ პირს ჰქონდეს ჩადენილი ეს დანაშაული. აღნიშნული საფუძველი შეიძლება დადგენილი იყოს სხვადასხვა მტკიცებულებებით, მათ შორის, დაზარალებულისათვის/მონწილისათვის ამოსაცნობად წარდგენის ოქმი, დათვალიერების ოქმი, მონწილ/დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი, ჩხრეკის/ამოღების ოქმებით²⁹ და საქმეში არსებული სხვა იმ სახის მტკიცებულებებით, რომლებიც მიუთითებენ პირის მიერ დანაშაული შესაძლო ჩადენას.

მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი სხვა მტკიცებულებით სტანდარტებთან შედარებით ნაკლები სიმტკიცით ხასიათდება, პროკურორს მაინც ენიჭება უფლებამოსილება, რომ ასეთი სტანდარტის დადგენის დროს, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით პირის დაკავების შესახებ. ასევე, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს შესაძლებლობა ეძლევა, აღნიშნული სტანდარტის არსებობისას, პირი დააკავოს სასამართლოს ნებართვის გარეშე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ორივე შემთხვევაში გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ორივე სახის დაკავება გარდაუვლად გაივლის სასამართლო კონტროლს და სწორედ ეს უკანასკნელი იტყვის საბოლოო სიტყვას დაკავების კანონიერებაზე.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი უზრუნველყოფს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობას ვარაუდის საფუძვლიანობის შემთხვევაში და გამორიცხავს თვითნებობას, წარმოადგენს პირის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისაგან დაცვის მნიშვნელოვან ნაწილს.³⁰

²⁸ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 209

²⁹ იქვე

³⁰ Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003, 174

როგორც წესი, პრაქტიკაში უფრო მეტი პრობლემა წარმოიშვება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დადგენისას არა დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან მიმართებით, არამედ სხვა საფრთხეების დასასაბუთებლად, რომელიც აუცილებელია წინ უსწრებდეს პირის დაკავებას. არის შემთხვევები, როდესაც პროკურორების მხრიდან შაბლონურად ხდება აღნიშნული საფრთხეების დასაბუთება მხოლოდ იმ სიტყვებით, რომ „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი კონკრეტული პირის მიმალვასთან ან/და სხვა საფრთხეებთან დაკავშირებით“, თუმცა რეალურად მათ შუამდგომლობაში სხვა არაფერია ნათქვამი ამ საფრთხეების შესაძლო რეალიზებასთან დაკავშირებით ან/და არ არის დასაბუთებული იმ ხარისხით, რომელიც რეალურად გვაძლევს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუმცა, მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოები არ ერიდებიან მსგავსი სახის შუამდგომლობების დამკაყოფილებას.

საინტერესოა, პრაქტიკიდან განვიხილოთ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული საქმის ფარგლებში, 2018 წლის 08 მაისს, პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა დ.ს.-ის დაკავება. პროკურორის მხრიდან შუამდგომლობაში თავდაპირველად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილ იქნა, რომ დ.ს.-ს შესაძლოა ჩადენილი ჰქონოდა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო შემდეგ იგი გადავიდა მოსალოდნელი საფრთხეების დასაბუთებაზე. ხსენებულ შუამდგომლობაში პროკურორი განმარტავს, რომ ზემოხსენებული დანაშაული უალტერნატივოდ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 7-11 წლამდე ვადით, რის გამოც არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდების წარდგენის შემდეგ, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საზღვარგარეთ კავშირების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე დ. ს. დაემალებოდა გამოძიებასა და სასამართლოს. ასევე, რამდენიმე სიტყვით დასაბუთებული იქნა ის ფაქტი, რომ დ.ს.-ს შესაძლოა ზემოქმედება განხორციელებინა საქმეში როგორც უკვე გამოკითხულ, ასევე, მომავალში გამოსაკითხ მონაწილეზე, რაც დასტურდებოდა ცალკეულ პირებთან მისი სხვადასხვაგვარი სახის კონტაქტით, რითაც ფაქტობრივად განადგურდებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. საფრთხეების რეალურად არსებობის სხვა რაიმე ხელშესახებ დასაბუთებას აღნიშნულ შუამდგომლობაში ვერ ვპოულობთ.³¹

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით³² დაკმაყოფილებულ იქნა პროკურორის ზემოხსენებული შუამდგომლობა. მოსამართლის აღნიშნულ განჩინებაში ვკითხულობთ, რომ არსებობდა როგორც ფორმალური (საპროცესო), ასევე ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები დ.ს.-ის დაკავებისათვის. სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული ინფორმაცია და წარმოდგენილი მასალების ერთობლიობა იძლეოდა ვარაუდის საფუძველს, რომ

³¹ სისხლის სამართლის N092310819001 საქმე, 08/05/2018 შუამდგომლობა დაკავების შესახებ

³² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის N6137 განჩინება

დ.ს-ს შესაძლოა ჩადენილი ჰქონოდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული. სასამართლო, ასევე, უთითებს, რომ იგი ეთანხმება პროკურორს იმ პოზიციაში, რომ მას შემდეგ რაც დ.ს.-ისთვის ცნობილი გახდება, რომ მას აღნიშნულ საქმეზე შესაძლოა წარედგინოს ბრალდება, ის შესაძლებელია მიიმალოს; ასევე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ზემოქმედება მოახდინოს მონაწილეებზე. სწორედ აღნიშნული საფუძვლებით ჩათვალა სასამართლომ, რომ უნდა განხორციელებულიყო დ.ს-ს დაკავება მოსამართლის განჩინების საფუძველზე. სხვა რაიმე დასაბუთება ან პოზიცია, თუ რატომ აკმაყოფილებდა სასამართლო პროკურორის შუამდგომლობას ხსენებულ განჩინებაში არ მოიძიება.³³

აღნიშნულის შემდეგ, 2018 წლის 10 მაისის ბრალდებულის დაკავების ოქმით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულ იქნა დ.ს. 2018 წლის 11 მაისს, პროკურორმა სასამართლოს მიმართა უკვე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით³⁴ და ითხოვა, რომ ბრალდებული დ.ს.-ს მიმართ გამოყენებული ყოფილიყო პატიმრობა. აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაბუთებული იყო იმავე საფუძვლებით, რაც განვიხილეთ ზემოთ დაკავების შესახებ შუამდგომლობაზე საუბრისას. ამ შემთხვევაშიც პროკურორი უთითებდა, რომ დაპატიმრების გამოყენების საფუძველი იყო ბრალდებულის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის/მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება.³⁵

საინტერესოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით³⁶, პროკურორის ზემოხსენებული შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულს შეერჩა გირაო 50 000 ლარის ოდენობით.

მოსამართლის აღნიშნულ განჩინებაში ვკითხულობთ, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილია მხოლოდ ის, რომ დ.ს.-ს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, თუმცა სხვა საფრთხეების რეალურობა ვერ იქნა დასაბუთებული პროკურორის მიერ. სასამართლოს მითითებით, მართლ მოსადგენელი სასჯელის შიში არ შეიძლება მხოლოდ ერთადერთ საფუძველად დაედოს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი სასჯელი რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, ეს საფრთხე არ შეიძლება აბსტრაქტულად შეფასდეს. სასამართლომ მიუთითა, რომ დ.ს. აღნიშნულ საქმეზე ორჯერ იყო მონაწილე სახით გამოკითხული, ასევე, მის მიმართ სამოქალაქო წესით მიმდინარეობდა დავა და მიუხედავად ამისა, მას არცერთხელ არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია. გარდა ამისა, მას საქართველოში ჰყავდა

³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის N6137 განჩინება

³⁴ სისხლის სამართლის N092310819001 საქმე, 11/05/2018 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ

³⁵ იქვე

³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის N10ა/2221 განჩინება

ცოლშილი, ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, რაც ამცირებდა მისგან მიმალვის რისკს.

გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზეწოლის თაობაზე შესაძლოა არსებობდა გარკვეული რისკები და საფრთხეები, მაგრამ არა იმ სტანდარტით, რასაც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახე პატიმრობა ითვალისწინებდა.³⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლის ზემოაღნიშნული პოზიციის მხედველობაში მიღებით, უნდა ითქვას, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ იყო დადგენილი დ.ს.-ს მიერ მიმალვის ან სხვა რელევანტური საფრთხეების არსებობა. შესაბამისად, აღნიშნული ვერ იქნა დასაბუთებული საჭირო სტანდარტით ვერც დაკავების შესახებ შუამდგომლობაში, რის გამოც შესაძლებელი იყო, რომ ხსენებული შუამდგომლობაც არ დაკმაყოფილებულიყო. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ დაკავების შესახებ შუამდგომლობის განმიღველი მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, არ შედიან სიღრმისეულ მსჯელობაში საფრთხეების დასაბუთების კონტექსტში და აღნიშნულისთვის ადგილს უთმობენ უკვე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განმიღველი მოსამართლეებს, როგორცაა ადგილი ჰქონდა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებითაც. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების მაქსიმალური ვადაა 72 საათი, დაკავების შესახებ განჩინებების გაცემა არ მოხდეს ზედაპირულად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებული საფრთხეების რეალურობის გადამოწმების ან/და დადგენის გარეშე.

2.2 სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობა

საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ... , გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. აღნიშნული წესი ეხება სანქცირებულ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, პირის დაკავებას, რომლის დროსაც, აუცილებელია, რომ პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი არსებობდეს იმ დანაშაულთან მიმართებით, რომლისთვისაც კანონით (სსკ-ით), სასჯელის სახით გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობა ვრცელდება მხოლოდ სანქცირებულ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებულ დაკავებასთან და არა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებთან. აღნიშნულ დასკვნამდე მივყავართ კანონის სიტყვა-სიტყვით

³⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის N10ა/2221 განჩინება

განმარტებას. სსსკ-ის 171-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ პროკურორმა შეამდგომლობით არ უნდა მიმართოს სასამართლოს და, შესაბამისად, სასამართლომ არ უნდა გასცეს განჩინება იმ პირის დაკავებასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

ვთვლით, რომ სადისკუსიო არ არის ის საკითხი, რომ ამგვარი პირის დაკავება შესაძლებელია მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, შემდეგ გარემოებათა გამო: სსსკ-ის 171-ე მუხლი ეძღვნება დაკავების საფუძველს და სწორედ აღნიშნული ნორმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ვსაუბრობთ პირის დაკავებაზე. აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილი კი გვეუბნება, რომ პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, ... აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი ეხება და საუბრობს პირის სანქცირებულ დაკავებაზე, მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლის მეორე და მესამე ნაწილი სრულად ეთმობა პირის არასანქცირებულ, მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავებას.

კანონდებლის ნება რომ იყოს, რომ ორივე, როგორც სანქცირებულ, ასევე არასანქცირებულ შემთხვევაში პირის დაკავებისათვის საჭიროა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობა, მაშინ, იგი სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილს ჩამოაყალიბებდა შემდეგი რედაქციით: პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და მისი მიმალვის, ... შესაბამისად, კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობაზე ისე, როგორც ამას აკეთებს განსახილველი ნორმის პირველი ნაწილი.

აღნიშნულ მსჯელობას აქვს პრაქტიკული დასაბუთებაც, კერძოდ, როდესაც დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, მაგალითად, პირი, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას ხედავს, რომ კონკრეტული პიროვნება ჩადის რაღაც დანაშაულს, შესაბამისად, იქმნება გადაუდებელი აუცილებლობა, რათა მან აღკვეთოს ხსენებული ქმედება მყისიერად. აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება კი პირის დაკავებაა. ნათელია, რომ არავინ არ არის ვალდებული ზეპირად იცოდეს ყველა დანაშაულისათვის ცალ-ცალკე გათვალისწინებული სასჯელები, არამედ საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნაც, რომ ეს კონკრეტული ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. შესაბამისად, ასეთ დროს, პირის დაკავება, რატომ უნდა იქნეს ცნობილი უკანონოდ იმ მოტივით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული პირის ქმედება

კი იყო გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა იგი არ ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას.

ანალოგიურ პოზიციას ავითარებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორებიც: „დაკავებული პირის მხრიდან განხორციელებული მოქმედება, რაც საფუძვლად დაედო მის დაკავებას, უნდა შეიცავდეს სსკ-ით განსაზღვრული იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას (ეხება მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე განხორციელებულ დაკავებას)“.³⁸

შესაბამისად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობა ეხება მხოლოდ სანქცირებულ დაკავებას და კავშირი არ აქვს გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავებასთან.

2.3. პირის მიმალვის საფრთხის არსებობა

პირის დაკავებისათვის აუცილებელია კუმულაციურად სახეზე იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები. ფაქტობრივი საფუძვლები გულისხმობს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ხოლო ფორმალური საფუძველი გულისხმობს საპროცესო საფუძვლებს, რომელსაც კანონი, კერძოდ, სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი სახელდებით ჩამოთვლის. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იყოს დადგენილი როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძვლები. მიმალვის საფრთხის პრევენცია ემსახურება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის ხელშეწყობას. პირის მიმალვის შემთხვევაში ცალსახად ხელი შეეშლება საქმეზე ადეკვატური და მყისიერი მართლმსაჯულების განხორციელებას, თუნდაც სამომავლოდ განაჩენის აღსრულებას.

პირის მიმალვის საფრთხეზე შეიძლება მიუთითებდეს არაერთი გარემოება: არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აქტიური კავშირები აქვს საზღვარგარეთ მცხოვრებ პირებთან, უფიქსირდება საზღვრის ხშირი კვეთები და ა.შ.

მოსალოდნელი სასჯელის შიშთან მიმართებით მიმალვის საფრთხის დასაბუთების თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი პრაქტიკა გვაქვს ქართულ სამომასამართლო სამართალშიც. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის განჩინებაში სასამართლოს აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც დ.ს-ისთვის ცნობილი გახდება, რომ მას აღნიშნულ საქმეზე შესაძლოა წარედგინოს ბრალდება, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, იგი შესაძლებელია მიიმალოს.³⁹

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 502

³⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის N6137 განჩინება

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის განჩინებაში ვკითხულობთ: „მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქმედება, რომლის ჩადენაშიც იმხილება კ.გ. (სსკ-ის 126¹ -ე მუხლის პირველი ნაწილი), სხვა ალტერნატიულ სასჯელთან ერთად ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით. აღნიშნული კი რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის შეფასებლად“.⁴⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის განჩინების თანახმად, მოსალოდნელი სასჯელის და სამოქალაქო პასუხისმგებლობისასაგან თავის არიდების მიზნით (ზიანი ჯამში შეადგენს თანხას - 13 783 ლარს) კ.ბ-მა შესაძლოა თავი აარიდოს გამოძიებას. მოსალოდნელი მკაცრი სასჯელი თავისთავად რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად.⁴¹

შესაბამისად, ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები ხშირად მიუთითებენ საკუთარ განჩინებებში მოსალოდნელი სასჯელის შიშით მიმალვის საფრთხეებზე, მაგრამ 2017 წლის 04 თებერვლის განჩინებაშივე ვკითხულობთ, რომ „თუმცა ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე მითითება არ არის საკმარისი პირის დაკავებისათვის და აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს, როგორც მოსალოდნელი სასჯელის შიში, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, ასევე სასამართლოს შეექმნა რწმენა იმისა, რომ კ.ბ-მა შესაძლოა ასევე გააგრძელოს დანაშაულებრივი ქმედებანი.“⁴²

შესაბამისად, ამ გარემოების მხედველობაში მიღებითაც ვხვდებით, რომ მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის შიში არ უნდა ჩავთვალოთ საკმარისად მიმალვის საფრთხის დასასაბუთებლად და, შესაბამისად, პირის დაკავების შესახებ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. აუცილებელია, ასევე, არსებობდეს სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც ან უფრო მეტად მიუთითებენ მიმალვის საფრთხეზე (მაგალითად, საზღვრის ხშირი კვეთა) ან პირდაპირ მიუთითებენ სხვა კანონისმიერ საფრთხეებზე (ახალი დანაშაულის ჩადენაზე, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებაზე). მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი სასჯელი რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, ეს საფრთხე არ შეიძლება აბსტრაქტულად შეფასდეს. მიმალვის საფრთხე შეიძლება გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით როცა პირს ადრევე უცდია კანონიერი სასჯელისთვის თავის დაღწევა ქვეყნიდან მიმალვით ან/და არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები.⁴³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორების მხრიდან მიმალვის საფრთხეზე საუბრისას, მიზანშეწონილი და აუცილებელია, რომ ხსენებული საფრთხე დასაბუთებული იქნას კონკრეტულ, რეალურად არსებულ გარემოებებზე მითითებით

⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის N6209-17 განჩინება

⁴¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის N1044 განჩინება

⁴² იქვე

⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის N10ა/2221 განჩინება

და არა აბსტრაქტულად/შაბლონურად. შესაბამისად, ანალოგიურად უნდა იქნეს შეფასებული სასამართლოს მხრიდანაც პირის მიმალვის საფრთხე.

2.4. სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროება

სსსკ-ის 171-ე მუხლში ერთ-ერთ ფორმალურ საფუძვლად მითითებულია, რომ პირი არ გამოცხადდება სასამართლოში. შესაბამისად, თუ არსებობს სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროება, აღნიშნული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იქნეს დადგენილი, რის შემდგომაც ფაქტობრივი საფუძვლის დადგენასთან ერთად, სასამართლოს ექნება შესაძლებლობა გასცეს განჩინება კონკრეტული პირის დაკავების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში (სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში) ცალ-ცალკე არის მოხსენიებული პირის მიმალვა და სასამართლოში გამოუცხადებლობა, ვთვლი, რომ აღნიშნულ ორ საფუძველს მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. გამოძიების ეტაპზე, გამოძიებელს, პროკურორს არ აქვთ წარმოდგენა იმის შესახებ, კონკრეტული პირი გამოცხადდება თუ არა მომავალში სასამართლოში, თუნდაც იმიტომ, რომ გამოძიების ეტაპზე შესაძლოა საკმაოდ დროის მანძილზე არ დადგეს პირის სასამართლოში გამოცხადების საჭიროება. აღნიშნულზე ხსენებული სუბიექტები (გამომძიებელი, პროკურორი) მსჯელობენ იმის მიხედვით, ცხადდება თუ არა პირი მათი გამოძახებით საგამომძიებო ორგანოში ან პროკურორთან. შესაბამისად, სასამართლოში გამოცხადება, ასევე, პირდაპირ არის დაკავშირებული საგამომძიებო ორგანოსა თუ პროკურატურაში გამოცხადებასთან. აღნიშნული კი დაკავშირებულია პირის მიმალვის საფრთხეებთან. როგორც სასამართლოში, ასევე საგამომძიებო ორგანოებში გამოუცხადებლობა ხელს უშლის ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებას, რის გამოც ორივე საფრთხის აღკვეთა სწორედაც, რომ ეფექტური მართლმსაჯულების მიზნებს შეესატყვისება.

მართლაც, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საფრთხეების დასაბუთებლად პროკურორები ერთდროულად უთითებენ როგორც მიმალვის, ასევე, სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული მუხლის დანაწესით თანახმად, აღნიშნული საფუძვლები ალტერნატიულად არის ჩამოთვლილი, პრაქტიკული თვალსაზრისით, ძნელი წარმოსადგენია, არ არსებობდეს მიმალვის საფრთხე და არსებობდეს მხოლოდ სასამართლოში გამოუცხადებლობის საფრთხე. ამასთან, მიმალვის საფრთხის დასაბუთების შემთხვევაში, ავტომატურად იქნება დასაბუთებული სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროებაც.

გლდანი-ნაძალადგვის რაიონული პროკურატურის 2017 წლის 29 ივნისის დაკავების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის⁴⁴ თანახმად, კ.გ.-სთვის ვერ ხერხდებოდა უწყების ჩაბარება, ვინაიდან იგი არ იმყოფებოდა მისი ოჯახის მიერ ნაქირავებ

⁴⁴ სისხლის სამართლის N001150617003 საქმე, 29/06/2017 შუამდგომლობა დაკავების შესახებ

საცხოვრებელ ბინაში. ამავდროულად, ვერ ხერხდებოდა მისთვის მობილურ ტელეფონზე დაკავშირებაც. შესაბამისად, პროკურორის მითითებით, ვინაიდან კ.გ.-ის ადგილსამყოფელის დადგენა დაკავშირებული იყო რიგ სირთულეებთან, აღნიშნული ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ კ.გ. ემალებოდა გამოძებას და თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ პირი ემალება გამოძიებას და, შესაბამისად, თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, არსებობს საშიშროება, რომ იგი არ გამოცხადდება არც სასამართლოში. შესაბამისად, ერთროულად არის დასაბუთებული როგორც მიმალვის, ასევე, სასამართლოში გამოუცხადებობის საშიშროება. ანალოგიურ მსჯელობაა განვითარებული ხსენებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებულ მოსამართლის განჩინებაში პირის დაკავების შესახებ, რომელმაც პროკურორის მიერ მითითებული ზემოხსენებული საფრთხეები რეალურად მიიჩნია.⁴⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2017 წლის 03 თებერვლის დაკავების შესახებ პროკურორის შუამდგომლობაში⁴⁶ ვკითხულობთ, რომ მოსალოდნელი სასჯელის და სამოქალაქო პასუხისმგებლობისასაგან თავის არიდების მიზნით (ზიანი ჯამში შეადგენს თანხას - 13 783 ლარს) კ.ბ მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში. სწორედ აღნიშნული გარემოების საფუძველზე დაადგინა სასამართლომ, რომ კ.ბ.-ის შესაძლოა თავი აერიდებინა გამოძიებისთვის.⁴⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მიმალვის და სასამართლოში გამოუცხადებლობის საფრთხეები ძალზედ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიმალვის საფრთხის რეალურად დადგენის შემთხვევაში, დასაბუთებული იქნება სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროებაც.

2.5. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება

პირის დაკავებისათვის ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველს, ასევე წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხის არსებობა. შესაბამისად, პროკურორმა უნდა დაადგინოს, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, კონკრეტული პირის მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის/მტკიცებულების განადგურების.

საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციაში იგულისხმება როგორც ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ

⁴⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის N6209-17 განჩინება

⁴⁶ სისხლის სამართლის N092130916001 საქმე, 03/02/2017 შუამდგომლობა დაკავების შესახებ

⁴⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის N1044 განჩინება

გარემოებებთან, ასევე, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი.⁴⁸

მტკიცებულების განადგურების საფრთხე შეიძლება გამოიხატებოდეს დოკუმენტების განადგურებაში, ან თანამონაწილეებსა თუ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენაში.⁴⁹

რაც შეეხება განადგურებას, მტკიცებულებათა განადგურება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მტკიცებულების ფიზიკურად მოსპობით (მაგალითად, დოკუმენტის დაწვა; ნივთმტკიცების დამტვრევა/ გადაგდება, აფეთქება და ა.შ.), ასევე მისი ნიშან-თვისებების არსებითად გამოცვლის, მასზე არსებული კვალის წაშლის გზით. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოცვლა, იარაღზე არსებული კვალის წაშლა, მკვლელობის ადგილის დამუშავება იქ არსებული კვალის წაშლის მიზნით, დანაშაულის ჩადენის ადგილისთვის ცეცხლის წაკიდება კვალის წაშლის მიზნით და ა.შ.⁵⁰

საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეზე მიუთითებს ბრალდებულს/პოტენციურ ბრალდებულს და დაზარალებულს/მოწმეს შორის არსებული ნათესაური თუ სხვა ახლო კავშირები. მართლაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს დაკავების შესახებ განჩინებაში⁵¹ ვკითხულობთ: „იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე დაკითხული პირები არიან დასაკავებელი პირის მეუღლე, მეუღლის და და მას ახლო ურთიერთობა აქვს საკვანძო მოწმეებთან, ქმნის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ არსებობს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეც“.⁵² გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს დაკავების შესახებ ერთ-ერთ განჩინებაში⁵³, ასევე, შევხვდებით შემდეგ ჩანაწერს „გარდა ამისა, საქმეზე დასაკითხი პირები, მოწმეები არიან კ.ბ.-ის⁵⁴ ნაცნობები, სწორედ ამიტომ, შესაძლოა მან ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე მისთვის სასურველი ჩვენების მიღების მიზნით.“⁵⁵ შესაბამისად, არამხოლოდ ნათესაური კავშირი, არამედ პირთან მხოლოდ ნაცნობობაც კი შეიძლება გახლდეს, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფუძველით საფრთხის რეალურობის დადგენის შესაბამისი აქტორი.

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არარსებობაზე მიუთითებს, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე, ბრალდებულისათვის ცნობილი იყო მის მიმართ გამოძიების ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიების შესახებ, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მას ხელი არ შეუშლია გამოძიებისათვის და თანამშრომლობდა მასთან

⁴⁸ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი

⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 597

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 597-598

⁵¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის N6209-17 განჩინება

⁵² იქვე

⁵³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის N1044 განჩინება

⁵⁴ კ.ბ. - დასაკავებელი პირი

⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის N1044 განჩინება

(მიუთითა იარაღის, დანაშაულის საგნის, თანამონაწილეების ვინაობა და ა.შ.).⁵⁶ აღნიშნულ მსჯელობას ავითარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეც თავის 2018 წლის 12 მაისის განჩინებაში⁵⁷, კერძოდ, „ბრალდებულისთვის, რაც ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება, მას არცერთ მონმეზე არ მოუხდენია ზემოქმედება“.⁵⁸ შესაბამისად, მოსამართლემ ჩათვალა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან არ არსებობდა მტკიცებულების განადგურების საფრთხე, ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული საფრთხე ვერ იქნა დასაბუთებული შესაბამისი მტკიცებულებით სტანდარტით პროკურორის მხრიდან.

ყოველივე ზემოხსენებული გარემოების მხედველობაში მიღებით, უნდა ითქვას, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხის არსებობის პრევენცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მომავალში მართლსაწილების ჯეროვნად განხორციელების ხელშეწყობისათვის. მიზაშენილი და აუცილებელია, რომ აღნიშნული საფრთხე დასაბუთებული იქნას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბუნებაში რეალურად არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით და არა აბსტრაქტულ საფრთხეებზე მითითებით.

2.6. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საკითხის განხილვა

2018 წლის 30 ივლისის საქართველოს კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“,⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლმა, მოქმედი რედაქციის ამოქმედების დღიდან პირველად განიცადა ცვლილება, რომელიც შეეხო აღნიშნული მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს.

კერძოდ, პირველ ნაწილს დაემატა ერთი ფორმალური საფუძველი „ან თუ განიხილება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საკითხი“.⁶⁰

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 598

⁵⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის N10ა/2221 განჩინება

⁵⁸ იქვე

⁵⁹ იხ. საქართველოს 2018 წლის 30 ივლისის N3157 კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

⁶⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი

წარმოება ან პირის მსჯავრდება მის გადმოცემამდე რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი საქართველოში იქნა ექსტრადირებული. აღნიშნული დანაშაულიდან ვასკვნით, რომ პირის მიმართ ვერ დაინციებთ სისხლის სამართლებრივ დევნას და, შესაბამისად, ვერ შევეუფარდებთ სასჯელს მის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ კანონმდებლობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც აღნიშნული პირი საქართველოში იქნა ექსტრადირებული. თუმცა, არსებობს აღნიშნული წესიდან გამონაკლისი, კერძოდ, ასეთი პირის მიმართ დევნის დაწყებისათვის იუსტიციის სამინისტრომ წინასწარ უნდა გამოითხოვოს თანხმობა ექსტრადიციის განმახორციელებელი უცხო სახელმწიფოდან. ამასთან, საქართველოსათვის იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, სავალდებულოა, რომ თანხმობის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობას დაერთოს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილების და განაჩენის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი (მსჯავრდებულის შემთხვევაში), ან დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი (ბრალდებულის შემთხვევაში). მეორე შემთხვევაში (პირთან მიმართებაში, რომლის მსჯავრდებაც ჯერ არ მომხდარა), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოთხოვნილი შინაარსის დოკუმენტს წარმოადგენს (1) სასამართლოს განჩინება პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ და (2) სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.⁶¹

აქ უკვე ვხვდებით მეორე უკიდურესობას, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, სასამართლო პირის მიმართ ვერ იმსჯელებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე, თუ მის მიმართ დაწყებული არ არის სისხლის სამართლებრივი დევნა. ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, სადაც განიხილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი, არის სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომი ეტაპი. აქედან გამომდინარე, სამართლებრივ ბერკეტად გვრჩება მხოლოდ სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. შესაბამისად, თავისი არსით, „დაპატიმრების ორდერი ან იმავე ძალის მქონე სხვაგვარი ორდერი“, ქართული კანონმდებლობით, შეიძლება მხოლოდ იყოს სასამართლოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე, რომელიც თან უნდა დაერთოს უცხო სახელმწიფოში გასაგზავნ შუამდგომლობას, რომლითაც მოთხოვნილი იქნება თანხმობის გაცემა ექსტრადირებული პირის მიმართ ექსტრადირებამდე ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების თაობაზე.⁶²

სწორედ აღნიშნულმა განაპირობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებული ცვლილება. ეს თავის მხრივ

⁶¹ იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

⁶² იქვე

საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელწიფოდან გამოითხოვონ თანხმობა, რათა ექსტრადირებული პირის მიმართ შესაძლებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც მისი მანამდე საქართველოსათვის გადმოცემა არ განხორციელებულა.⁶³

2.7. განჩინების გამოტანის ფორმა და წესი

თუ არსებობს პირის დაკავების როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებებით), ასევე ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები, ასეთ შემთხვევაში, პროკურორმა, გამოძიების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს, პირის დაკავების შესახებ განჩინების გაცემის მოთხოვნით. საინტერესოა, განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული ქართულ პრაქტიკაში. მაგალითად, თუ გამოძიებას აწარმოებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილება, შესაბამისად, აღნიშნულ განყოფილებას საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა. აქედან გამომდინარე, თუ მოცემული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე გამოიკვეთება კონკრეტული პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, როგორც მის მიერ იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ასევე, კანონში სახელდებით ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლის მიმართ, ასეთ დროს, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის კონკრეტული პროკურორი, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობს უწევს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებელს, შეადგენს შუამდგომლობას პირის დაკავების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოცემული შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმის მასალები, როგორც წესი, დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შეაქვს საქმის გამოძიებელს. შესაბამისად, სასამართლო კანცელარია მიიღებს შუამდგომლობას და საქმის მასალებს, რის შემდგომაც აღნიშნული შუამდგომლობა განსახილველად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს რომელიმე მოსამართლეს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს შუამდგომლობას და მიიღებს გადაწყვეტილებას განჩინების სახით, შუამდგომლობის დაკმაყოფილების და პირის დაკავების ან/და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (პირის დაკავებაზე) უარის თქმის შესახებ.

დაკავების თაობაზე ერთ შუამდგომლობაში პროკურორს შეუძლია მოითხოვოს ერთზე მეტი პირის დაკავება და სასამართლოს განჩინებაც გამოტანილი იქნება ყველა პირის მიმართ ერთიანად. მაგრამ როგორც განჩინებაში, ასევე შუამდგომლობაში

⁶³ იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

დასაბუთებული უნდა იყოს თითოეულ პირთან მიმართებით დაკავების გამოყენების საფუძველი და აუცილებლობა.⁶⁴

ამავე დროს, მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე ცხადია ვერ იქნება გაცემული უვადოდ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა მიუთითოს დაკავების განხორციელების სავარაუდო ვადა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნეს განსაზღვრული, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს (განჩინების აღსრულების მაქსიმალური ვადა). თუ განჩინებაში მითითებულ ვადაში არ/ვერ მოხერხდა მისი აღსრულება და პირის დაკავება, განჩინების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორს შეუძლია ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე პირის დაკავებაზე განჩინების გაცემის შუამდგომლობით, მაგრამ უნდა მიუთითოს ის მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა განჩინების დროულად აღსრულება.⁶⁵

შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ცალსახად მართებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ძალზედ გადატვირთულია ქართული სასამართლო სისტემა, ამ ტიპის შუამდგომლობების ზეპირი მოსმენით განხილვა, კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა სამოსამართლო კორპუსს. გარდა აღნიშნულისა, როგორც წესი, დაკავების შესახებ შუამდგომლობის შეტანა ხდება სისხლის სამართლის საქმის იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ დაწყებული არ არის პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, შესაბამისად, საქმეში არ არსებობს მეორე - დაცვის მხარე. აქედან გამომდინარე, ყოველად გონივრულია აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ პირის დაკავების თაობაზე მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება არ საჩივრდება. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრების ინსტიტუტთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი არც ისე აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც, ზოგადად, დაკავების ვადა არის ძალზე ხანმოკლე - საპროცესო კანონმდებლობა სამართალდამცავი ორგანოებისაგან მოითხოვს, რომ დაახლოებით 72 საათში, კონკრეტული გადანყვეტილება მიიღონ, ე.ი. პირს უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიება, ან უნდა გათავისუფლდეს. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რამდენად ექნება ამ შემთხვევაში პირს გასაჩივრების უფლება, მით უფრო, რომ შემდგომ მას ყველა გარანტია აქვს მიიღოს ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა უკანონო დაკავების შედეგად.⁶⁶

გარდა კომენსაციის მიღებისა, მიუხედავად იმისა, რომ პირს არ აქვს გასაჩივრების უფლება, მისი დაკავების კანონიერებაზე მსჯელობს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის განმხილველი მოსამართლე. შესაბამისად, სასამართლოს აქვს უფლება, რომ არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევის შემთხვევაში, პირის დაკავება მიიჩნიოს უკანონოდ. აღნიშნული შეეხება როგორც სანქცირებულ, ასევე

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 503

⁶⁵ იქვე, 503-504

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012, 190

არასანქცირებულ დაკავებას, თუმცა მოსამართლის განჩინების საფუძველზე პირის დაკავებისას ნაკლებ სავარაუდოა დაკავების უკანონოდ ცნობა, თუ უშუალოდ დაკავების პროცესში არ მოხდა რაიმე სამართალდარღვევა დამკავებელი სუბიექტების მხრიდან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში არ მოწმდება დაკავების წინაპირობები, საფუძვლები და სხვ. მაგრამ უნდა შემოწმდეს უშუალოდ დაკავების პროცესის კანონიერება—ძალის გამოყენების თანაზომიერება/პროპორციულობა, უფლებების განმარტება და ა.შ. რაც შეეხება გადაუდებელ აუცილებლობას, აღნიშნული უფრო მეტას საჭიროებს სასამართლო კონტროლს, თუნდაც დაკავების საფუძვლებთან მიმართებით. მართლაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის განჩინებაში⁶⁷ ვკითხულობთ: „სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნის არსებითი დარღვევა, კერძოდ, სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავება, მაშინ როდესაც არ არსებობდა დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა, რაც წარმოადგენს დაკავების გათავისუფლების საფუძველს“.⁶⁸

გარდა აღნიშნულისა, მიუხედავად იმისა, რომ პირს არ შეუძლია გაასაჩივროს განჩინება მისი დაკავების შესახებ, მას შესაძლებლობა აქვს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს განჩინება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. მას, ასევე, შეუძლია ამავე საჩივრით გაასაჩივროს მისი დაკავების კანონიერება და აღნიშნულზე უკვე იმსჯელებს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. მართლაც, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის განჩინების⁶⁹ თანახმად, „მხოლოდ ის გარემოება, რომ დაკავება განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების საფუძვლის წარმოშობიდან 24 საათის შემდეგ, ვერ გახდება დაკავების უკანონოდ ცნობის და საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. სასამართლო მიიჩნევს, რომ დაკავებისა და ბრალდებულად ცნობის პროცესში არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები დაშვებული არ ყოფილა“.⁷⁰

საინტერესოა, მოკლედ შევხებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასაც. არსებობს შემთხვევები, როდესაც კასატორები თავიანთ საკასაციო საჩივარში უთითებენ დაკავების უკანონობაზე და შემდეგ უკვე უზენაესი სასამართლო მსჯელობს წინა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე. მართლაც, უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ განჩინებაში⁷¹ ვკითხულობთ: „საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის დაკავების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის 2016 წლის 21

⁶⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის N10ა/536 განჩინება

⁶⁸ იქვე

⁶⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის N1გ-63 განჩინება

⁷⁰ იქვე

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N289აპ-17

სექტემბრის განჩინებაში დეტალურად არის მსჯელობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩათვალა სასამართლომ მიზანშეწონილად მ. კ-ს დაკავება, კერძოდ: არსებობდა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც იძლეოდა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მ. კ-მ ჩაიდინა დანაშაული; პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას მან გამომძიებელი მოატყუა და დატოვა საგამომძიებო ორგანოს შენობა, რის შემდეგაც მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელი იყო და თვითონ ნებაყოფლობით არ გამოცხადდა პოლიციაში; არსებობდა ვარაუდი, რომ იგი კვლავ ჩაიდენდა ახალ დანაშაულს, ვინაიდან ნასამართლევი იყო მსგავსი ხასიათის დანაშაულისათვის, რაც მეტყველებდა მის პიროვნებაზე, როგორც ძალადობისაკენ მიდრეკილზე. ყოველივე ამის გამო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მ. კ-ს დაკავების შესახებ განჩინების გაცემა. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ სამართლებრივად დასაბუთებლად და გამართულად მიიჩნია პირის დაკავების შესახებ განჩინების გამოტანა, რის გამოც დაადგინა, რომ „მოსამართლის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინება პირის დაკავების შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია, რადგან, გარდა დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვისა, არსებობდა დაკავების სხვა სათანადო და საკმარისი საფუძვლები, რომლებიც სრულად გაითვალისწინა და შეათვალა სასამართლომ“⁷². ყოველივე აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, მივდივართ დასკვნამდე, რომ უზენაესი სასამართლოც კი მსჯელობს და შედის შინაარსში სამართლებრივ დასაბუთების კონტექსტში დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ვთხვლი, რომ ბრალდების მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაასაჩივროს მოსამართლის განჩინება დაკავებაზე უარის თქმის შესახებ. არსებობს საშიშროება, რომ მოსამართლემ ბრალდების მხარეს უარი უთხრას პირის დაკავებაზე მყარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, რის გამოც ასეთ განჩინებას შესაძლებლობა უნდა მიეცეს გაიაროს ზემდგომი ინსტანცია. ამავე დროს, პირის დაკავებაზე უარის თქმით, შესაძლებელია, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნას, რაც საბოლოოდ არაეფექტურ მართლმსაჯულებამდე მიგვიყვანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ბრალდების მხარის საშუალება ჰქონდეს გაასაჩივროს მოსამართლის უარი პირის დაკავებაზე.

III თავი. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

3.1. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფაქტობრივი საფუძვლები

პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებული შემთხვევაა პირის დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. მსგავსად სანქცირებული დაკავებისა, მოსამართლის განჩინების გარეშე პირის დაკავებისთვისაც საჭიროა

⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N289აპ-17

როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ასევე ფორმალური (საპროცესო) საფუძველი და ორივე ამ საფუძველთან მიმართ კუმულაციურად უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი. ერთ-ერთი ამ წინაპირობის არ არსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს.⁷³

გადაუდებელი აუცილებლობის დროს დაკავების ფაქტობრივ საფუძველს საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც, პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

არასანქცირებული დაკავება არ უნდა იყოს აღქმული იმგვარად, რომ ამ დროს არ ხორციელდება პირის დაკავებაზე სასამართლო კონტროლი, არამედ ხსენებულ კონტროლს სასამართლო განხორციელებს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე და თუ იგი ჩათვლის, რომ სახეზე არ იყო დაკავების ფაქტობრივი ან ფორმალური საფუძველი, ასეთ დაკავებას უკანონოდ მიიჩნევს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების გასაჩივრების სპეციალურ წესს, თუმცა დაკავების კანონიერება ყველა შემთხვევაში კონტროლდება/მოწმდება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე. მოსამართლის ვალდებულებაა, რომ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე თავის განჩინებაში რამდენიმე წინადადებით მაინც შეეხოს დაკავების კანონიერებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განჩინებაში⁷⁴ ვკითხულობთ „ი.ბ-ის დაკავებისას, მისთვის ბრალის წარდგენისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარკვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება“.⁷⁵ შესაბამისად, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მასალებით არ დადასტურდება დაკავების ფაქტობრივი ან ფორმალური საფუძველების არ არსებობა, ასეთ დროსაც, მოსამართლე რამდენიმე წინადადებით მაინც შეეხება ხსენებულ საკითხს და განაცხადებს, რომ პირის დაკავებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევის დაშვების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 503

⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის N10დ/163 განჩინება

⁷⁵ იქვე

3.2. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფორმალური საფუძვლები

სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების ერთ-ერთია სახეა - დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლის განჩინების გარეშე, რომელსაც არასანქცირებულ დაკავებასაც უწოდებენ, რაც გულისხმობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს ნებართვის გარეშე მყისიერი, უეცრად წარმოშობილი აუცილებლობის საფუძველზე პირის დაკავებას.⁷⁶

ამ შემთხვევაში დაკავების დასაბუთებულობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე სანქცირებული დაკავების დროს, რადგან პირის დაკავებას წინ არ უძღვის მის მიერ ჩადენილი ან ჩასადენი ქმედების შესახებ სასამართლოს ინფორმირებულობა და მისი ნებართვა დაკავების თაობაზე. აღნიშნულ დროს, პოლიციელი, გამომძიებელი თუ დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი გადაწყვეტილებას იღებს პირადი გამოცდილების და პროფესიული უნარ-ჩვევების საფუძველზე, რის შემდგომაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას მოსამართლე ამოწმებს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე. მოსამართლის განჩინების გარეშე პირის დაკავების დროს სახეზე უნდა გვექონდეს რომელიმე შემდეგი გარემოება: ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი ღეგნა მისი დაკავების მიზნით; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიციო; ე) პირი შესაძლოა მიიმალოს; ვ) პირი ძებნილია; ზ) მოსამართლის განჩინების გარეშე დაკავების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომელიც კუმულაციურად განიხილება სხენებული მუხლის მეორე ნაწილთან კავშირში და რომლის მიხედვითაც, დაკავების ფაქტობრივ საფუძველთან ერთად უნდა არსებობდეს რომელიმე შემდეგი გარემოება: პირის მიმალვის ან სასამართლოში არ გამოცხადების, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

3.2.1. პირის დაკავება დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე

აღნიშნული საფუძველით პირის დაკავებისას, აუცილებელია, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დაკავებას შორის არ იყოს დროის დიდი ინტერვალი. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან დანაშაულის ჩადენისთანავე

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11/04/2013 წლის გადაწყვეტილება N1/2/503,513 „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაზე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13

გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი დაასრულებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და ხდება იმნუთიერადვე დამკავებელი პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნა/მისვლა, რაც დიდი ღრის ინტერვალით არ ამორებს დამნაშავე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას და შემთხვევის ადგილის მის მიერ დატოვების მცდელობას.⁷⁷

პირის დაკავება ჩადენისთანავე გულისხმობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამკავებელი პირის მხედველობის არიდან არ მიმალულა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს პირის დაკავება განხორციელდება დანაშაულის ჩადენის ადგილას დანაშაულის შემადგენლობის დასრულების შემდეგ, თუ შემთხვევის ადგილიდან მოშორებით. მთავარია, რომ დამკავებელი პირის მიერ დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უშუალოდ იქნეს დანახული და მის დაკავებამდე ის ობიექტურად არ მიიმალოს დამკავებელი პირის მხედველობის არიდან.⁷⁸

საინტერესოა, პრაქტიკიდან მოვიყვანოთ ერთ-ერთი მაგალითი, აღნიშნული საფუძვლით პირის დაკავებისას. მაგალითად, 2017 წლის 06 აპრილით დათარიღებულ ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში⁷⁹, გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლად მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“.⁸⁰

როგორც ხსენებული საქმის მასალებიდან ირკვევა, ბრალდებული, 2017 წლის 06 აპრილს, სხვა პირთან ერთად, სახრახნისის გამოყენებით, ცდილობდა სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან მართლსწარინააღმდეგო მისაკუთხრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა თანხას, რა ღრისაც ხსენებული პირები დაკავებულნი იქნენ პოლიციის თანამშრომელთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობას. აღნიშნული პირების დაკავება განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე და როგორც აღინიშნა, დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველად დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2017 წლის 07 აპრილის განჩინებით⁸¹, ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობისას, კანონიერად ჩათვალა აღნიშნული პირების გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავება.

⁷⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე [1g/1722-16](#).

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 505-506

⁷⁹ სისხლის სამართლის N001060417001 საქმე, 06/04/2017 ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი

⁸⁰ იქვე

⁸¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის N10ა/1686 განჩინება

მართლაც, ნათელია, რომ ზემოთ განხილულ ქეისში, არსებობდა არასანქცირებული დაკავების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ ქვეთავში განსახილველი საფუძველი წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს, რომლის დროსაც იმუნიტეტის მქონე პირის დაკავებაც კი შესაძლებელია. აღნიშნულ შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი, თუმცა მასშივე გათვალისწინებულია გამონაკლისი, კერძოდ, ამ საფუძველითაც კი არ შეიძლება დაკავებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტი, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე სხვადასხვა პროცესის ადამიანები იძენენ პრივილეგიას და მათ მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება დაკავების სახით. კერძოდ, არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორი, მოსამართლე. აღნიშნული უპირატესობის საკონონმდებლო საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, რადგან სწორედ ქვეყნის უზენაესი კანონი აღჭურავს ზემოაღნიშნული თანამდებობის პირებს თავისუფლების შეზღუდვის ხელშეუხებლობით. რაც შეეხება დანაშაულზე წასწრების საგამონაკლისო შემთხვევას, აღნიშნული საფუძველით შესაძლებელია დაკავებულ იქნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ინსპექტორი და მოსამართლე, თუმცა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისათვის აუცილებელი იქნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა/ორგანოს თანხმობა.

3.2.2. დანაშაულის ჩადენის ადგილას მყოფი პირის დაკავება

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს, რომ პირი თვითმხილველის/ცხელ კვალზე დაკავების განმახორციელებელი სუბიექტების მხედველობის არიდან არ მიმალულა. თუ პირი დამკავებელი პირის მხედველობის არიდან დროებით მაინც მიმალა და მოგვიანებით ისევ გამოჩნდა, მაშინ მისი დაკავება უნდა განხორციელდეს სხვა საფუძველით.⁸²

აღსანიშნავია, რომ დაკავების აღნიშნული საფუძველი საგრძნობლად აფართოებს შესაძლო დასაკავებელ პირთა წრეს. დანაშაულის ჩადენის ადგილას ყოფნა აპრიორი არ ნიშნავს დანაშაულთან პირდაპირ შემხებლობას. სასურველი იქნებოდა,

⁸² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 506

კანონმდებელი თუ უფრო მეტად დააკონკრეტებდა აღნიშნულ საფუძველს, რაც მოგვეცემდა შესაძლებლობას დაგვესკვნა, თუ კონკრეტულად რა შემთხვევაში არის შესაძლებელი, გადაუდებელი აუცილებლობის დროს, ხსენებული საფუძველით პირის დაკავება, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცულ სფეროში, ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინა ქვეთავში განხილულ მაგალითში, დაკავების ერთ-ერთ საფუძველად, ასევე, იყო მითითებული აღნიშნულ ქვეთავში განსახილველი დაკავების საფუძველი. შესაბამისად, სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები პრაქტიკული თვალსაზრისითაც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან.

საინტერესოა, ასევე, ყურადღება გავამახვილოთ განსახილველ საფუძველში კანონმდებლობაში მითითებულ სიტყვებზე „დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა“. საპროცესო კანონმდებლობიდან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუბიექტი არის პროკურორი. აღნიშნულ საფუძველში კი ცალსახაა, რომ პროკურორი არ იგულისხმება, არამედ უმეტესად ნაგულისხმევია პირი, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის⁸³ თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის ბრალდებულად ცნობით ან მისი დაკავებით.

განსახილველი საფუძველის შინაარსიდან კი ჩანს, რომ შესაძლებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდეს მანამდეც, სანამ მოხდება ამ უკანასკნელის დაკავება/ბრალდებულად ცნობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა: სისხლისსამართლებრივ დევნა შეიძლება დაიწყოს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ფაქტობრივ დაკავებამდე?⁸⁴

აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ ანებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევებს. შესაბამისად, მანამდე, სანამ არ მოხდება პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნას არ ექნება ადგილი.⁸⁵

შესაბამისად, აღნიშნული თვალსაზრისით მოქმედი კანონმდებლობის რედაქცია დახვეწას საჭიროებს. სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტში ტერმინი - სისხლისსამართლებრივი დევნა არასწორად არის გამოყენებული, რაც უფრო ართულებს სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად გაგებას. მიზანშეწონილია აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პირი დაინახეს

⁸³ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁸⁴ მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2015, 92

⁸⁵ იქვე

დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება ცხელ კვალზე დადევნება მისი დაკავების მიზნით.⁸⁶

3.2.3. პირის დაკავება დანაშაულის აშკარა კვალის არსებობის დროს

თუ პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი, ასეთ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული პირის დაკავების შესაძლებლობას მოსამართლის განჩინების გარეშე. კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩადენილი დანაშაულის კვალი უნდა იყოს აშკარა და იგი აღმოჩენილ უნდა იქნეს პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვალის არსებობის დასადგენად, საჭიროა საექსპერტო კვლევა, აღნიშნული არ ქმნის ამ საფუძველით პირის დაკავების შესაძლებლობას და კვალის დადასტურების შემთხვევაში პირის დაკავება უნდა განხორციელდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ამასთან აშკარა კვალს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი, რომლის ტანსაცმელზეც/რომელთანაც/ან რომლის სხეულზეც აღმოჩენილი იქნება აღნიშნული კვალი ვერ ხსნის აღნიშნული კვალის წარმოშობას და ვერ მიუთითებს რამდენადმე გონივრულ/ლოგიკურ ახსნას.⁸⁷

პირის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალის საიულებრაციო მაგალითისთვის შეიძლება გამოგვადგეს შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავს (დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს) საცოხვრებელი კორპუსიდან შემოესმა ძლიერი ყვირილის ხმა და ამ დროს აღნიშნული კორპუსის სადარბაზოდან გამოიშინა პიროვნება, რომლის მაისურიც სისხლით არის მოსვრილი. ასეთ შემთხვევაში, განსახილველი საფუძველით პირის დაკავება კანონშესაბამისად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო, რაც შეეხება პირთან ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალის არსებობას, აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც პირს მის ზურგზე არსებულ ჩანთაში აღმოაჩნდება ცეცხლსასროლი იარაღი ან ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის კანონიერ წარმომავლობასაც აღნიშნული პირი ვერ ასაბუთებს.

3.2.4. ამოცნობა როგორც დაკავების საფუძველი

აღსანიშნავია, რომ პირის დაკავება სასამართლო განჩინების გარეშე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ საფუძველში მოხსენიებული ამოცნობა სამართლებრივად ძალზედ განსხვავდება

⁸⁶ მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2015, 92

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 509

სსსკ-ის 131-ე მუხლში გათვალისწინებული ამოცნობისაგან. ეს უკანასკნელი არის საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარების პროცედურაც დეტალურად არის რეგლამენტირებული ხსენებულ მუხლშივე.

ხოლო, რაც შეეხება თვითმხილველის მიერ შესაძლო დამნაშავეს ამოცნობას, აღნიშნულისათვის საჭიროა, რომ თავდაპირველად პირმა ჩაიდინოს დანაშაული, რის შემდეგაც უნდა მიიმალოს და აღნიშნულის შემდეგ იგი თვითმხილველმა უნდა ამოიცნოს, რაც საფუძველი გახდება მოსამართლის განჩინების გარეშე პირის დაკავების. აღნიშნული საფუძველით პირის დაკავებისთვის სსსკ-ი ადგენს დამატებით ორ წინაპირობას: 1) დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა მიიმალოს დანაშაულის ჩადენის ადგილიდან; 2) მისი ამოცნობა ხორციელდება მოგვიანებით თვითმხილველი პირის მიერ.⁸⁸

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსის წინამორბედი კოდექსი, განსხვავებულად აყალიბებდა ხსენებულ ნორმას. საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირის დაკავების შესაძლებლობას უშვებდა, თუ თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებდნენ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე.⁸⁹

ახალმა საპროცესო კოდექსმა არ გაიზიარა წინამორბედი კანონმდებლობის ნორმა, რადგან ზემოაღნიშნული დებულებით უსაფუძვლოდ ხდებოდა დაკავების საპროცესო საფუძვლის გაფართოება, რადგან დაზარალებული შესაძლოა საერთოდ არ ყოფილიყო თვითმხილველი მონაწილე. (მაგალითად, პირმა ფარულად ამოაცალა დაზარალებულს მობილური ტელეფონი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან). ახალმა საპროცესო კოდექსმა კი აქცენტი უშუალოდ დანაშაულის თვითმხილველ პირებზე გააკეთა, რომელთა შორისაც იგულისხმება დაზარალებულიც. თვითმხილველად პირი ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მან თავად, უშუალოდ დაინახა დანაშაულის ჩადენის ფაქტი - სრულად ან ნაწილობრივ - დანაშაულის ჩადენის რაიმე ნაწილი.⁹⁰

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არცთუ იშვიათია თვითმხილველის მიერ ამოცნობის საფუძველით პირის გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების შემთხვევები. როგორც წესი, პრაქტიკაში, თვითმხილველის მიერ პირის ამოცნობა ხორციელდება ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედების - ამოცნობის დროს, რის შემდგომაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ხორციელდება აღნიშნული პირის დაკავება. თუმცა, შესაძლებელია და პრაქტიკაშიც ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა, არ უსწრებს პირის დაკავებას განსახილველი საფუძველით, არამედ თვითმხილველის მიერ ამოცნობა

⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 508

⁸⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

⁹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 506

ხორციელდება ზეპირსიტყვიერად ან სამართალდამცავებთან სხვა სახის ურთიერთობით. თვითმხილველის მიერ ამოცნობა შესაძლებელია უკავშირდებოდეს რამდენიმე ვითარებას: 1) თვითმხილველი არ იცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს/არ იცის მისი ვინაობა მაგრამ უშუალოდ მიუთითებს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე - აღნიშნული პრაქტიკულად უტოლდება ამოცნობას; 2) თვითმხილველმა იცის დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და ასახელებს მას. აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასევე მოგვიანებით სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას (მაგალითად, მოწმის გამოკითხვის ოქმში, შეტყობინებაში და ა.შ.).⁹¹

პრაქტიკაში ორივე სახის შემთხვევა ჰქონდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილებას. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ძარცვას. კერძოდ, 2016 წლის 05 ივლისს, დამნაშავემ ქალბატონს ყელიდან ჩამოწყვიტა ოქროს ცეპი, ასევე ე.წ. კოლიე და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული ქალბატონი არ იცნობდა დამნაშავეს, თუმცა შეძლო დაემახსოვრებინა პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნული საქმის ფარგლებში, 2016 წლის 13 ივლისს, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა, რა დროსაც ქალბატონის მიერ ამოცნობილი იქნა დამნაშავე პიროვნება, რომელიც სამართალდამცავების მხრიდან დაკავებულ იქნა განსახილველი საფუძვლით. აღნიშნულის შემდეგ, 2016 წლის 14 ივლისს, გაიმართა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, სადაც მოსამართლემ კანონიერად ჩათვალი გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში ზემოხსენებული საფუძვლით პირის დაკავება და სხენებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობაც შეუფარდა.⁹²

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, 2014 წლის 24 აპრილს, ძარცვის ფაქტზე კვლავ იქნა დაკავებული პირი, რომლის დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძვლადაც მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ დაკავებას წინ არ უსწრებდა საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა, არამედ პიროვნება, რომელსაც გასტაცეს მობილური ტელეფონი იცნობდა დამნაშავეს და მან ამის შესახებ განუცხადა სამართალდამცავებს მოწმის სახით გამოკითხვის ოქმში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის განჩინებით აღნიშნული დაკავება ცნობილ იქნა კანონიერად.⁹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძველი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს ქართულ გამოძიებაში.

⁹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015., 508

⁹² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის N10ა/3393 განჩინება

⁹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის N10ა/2848 განჩინება

3.2.5. მიმალვის საფრთხის არსებობისას პირის დაკავება

არასანქცირებული დაკავების საფუძველთაგან ჰიპოთეტურ და, შესაბამისად, ყველაზე მეტად ძნელად სამტკიცებელ გარემოებას წარმოადგენს მიმალვის საფრთხის არსებობა. მოქმედი სსსკ-ის თანახმად, პირის დაკავება შესაძლებელია თუ არსებობს მისი მიმალვის საფრთხე. მიმალვის საფრთხის საფუძველით პირის დაკავებისას, სახეზე უნდა გვექონდეს არამართო სუბიექტური, არამედ ობიექტური გარემოებები, რომლებიც რეალურად მიუთითებენ პირის სუბიექტურ სურვილზე მიმალვას მართლმსაჯულებას. პირის მიმალვის საფრთხეზე შესაძლებელია მიუთითებდეს ობიექტურად არსებული გარემოებები მიმალვაზე მისი სუბიექტური სურვილის არარსებობის პირობებში. მაგალითად, როდესაც პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.⁹⁴

შესაბამისად, ყოველი ასეთი გარემოება არ უნდა გახდეს პირის თავისუფლების უფლებაში ჩარევის საფუძველი. ასეთ დროს, პირის საცხოვრებელი ადგილის დადგენას და მოგვიანებით სასამართლოში მისი გამოცხადების უზრუნველყოფას ობიექტურად შესაძლებელია გარკვეული სირთულეები შეექმნას, მაგრამ აღნიშნული სირთულე არ წარმოადგენს პირისათვის თავისუფლების თუნდაც ხანმოკლე შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, თუ ამ პირის მხრიდან არ არსებობს სამართალდამცავი ორგანოებისგან მიმალვის დამადასტურებელი მტკიცებულება.⁹⁵

პრაქტიკის შესწავლის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ უმეტეს შემთხვევაში, თუ არსებობს დაკავების სხვა რომელიმე საფუძველი, გამომძიებელი ან დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი, აღნიშნულ საფუძველთან ერთად მაინც უთითებენ „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძველს, თითქოს ამით უფრო მეტად მყარი ხდება გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების დასაბუთებულობა. აღნიშნულს აქვს თავის ლოგიკური ახსნა, მაგალითად, როდესაც პირს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე, ბუნებრივად, შესაძლებელია, რომ ამ პირს გაუჩნდეს მიმალვის სურვილი. შესაბამისად, ასეთ დროს, დაკავების ოქმში სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან ერთად მითითებული თუ იქნება ამავე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიც, აღნიშნული პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

როგორც აღინიშნა, სამართალდამცავები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ გადაუდებელი აუცილებლობის დროს მხოლოდ ამ საფუძველით პირის დაკავებასთან, რადგან აღნიშნულ საფუძველს რეალურად და ობიექტურად სჭირდება ფაქტებით გამყარება და მხოლოდ დამკავებლის სუბიექტური ნება საკმარისი არ არის. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთ კოლეგიის მოსამართლემ 2015 წლის 09 თებერვლის განჩინებით⁹⁶, უკანონოდ ცნო „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძველით გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში პირის დაკავება შემდეგ გარემოებათა გამო:

⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 510

⁹⁵ იქვე

⁹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის N10ა/536 განჩინება

„რ.ი-ის დაკავების ოქმი მიხედვით ბრალდებულის დაკავებას საფუძვლად დაედო ვარაუდი მისი მიმალვის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ქურდობა განხორციელდა 2014 წლის 23 დეკემბერს, ამასთან 2015 წლის 07 თებერვალს ბრალდებული დაბარებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, დაიკითხა მოწმის სახით, აღიარა მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება, რის შემდეგაც დააკავეს ბრალდებულის სახით. ხსენებული ოქმით ასევე ირკვევა, რომ დაკავება მოხდა მშვიდ ვითარებაში, რაიმე სახის იძულებას ადგილი არ ქონია, ბრალდების მხარეს კი კონკრეტული ინფორმაცია მისი შესაძლო მიმალვის შესახებ არ გააჩნია, აღნიშნული კი გამორიცხავს მიმალვის საფუძვლით ბრალდებულ რ.ი-ის მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების აუცილებლობას“.⁹⁷

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებითად დაირღვა სსკ-ის 171-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან არ არსებობდა დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნულის შედეგად, ბრალდებული დაუყოვნებლივ იქნა გათავისუფლებული სხდომის დარბაზიდან, თუმცა მის მიმართ მაინც იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაო. აღნიშნული კი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დაკავების უკანონოდ ცნობა ავტომატურად არ ნიშნავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზეც უარის თქმას, რადგან აღნიშნული ორი საპროცესო ინსტიტუტი დამოუკიდებლად განიხილა და ცალ-ცალკე სჭირდება დასაბუთება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავება მხოლოდ „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძვლით სასამართლომ კანონიერად მიიჩნია. აღნიშნული პირი იმხილებოდა სს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალზე ყაჩაღურ თავდასხმაში, რა დროსაც პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა, ერთ-ერთ მათგანს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თავდაპირველად აღნიშნული პირის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდებოდა, თუმცა გამოძიებამ შეძლო ხსენებული პირის ვინაობის დადგენა, რის შემდგომაც იგი დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 01 ოქტომბრის განჩინებით⁹⁸, აღნიშნული დაკავება კანონიერად იქნა ცნობილი, ხოლო ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

მიმალვის საფრთხე მიეკუთვნება სასამართლოების მიერ დაპატიმრების გამოყენების ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე ხშირად გამოყენებად საფუძველს. იგი უფრო მეტად ემყარება სამართალდარღვევის სერიოზულობას და სასჯელის სიმკაცრეს, ვიდრე ობიექტურ მონაცემებს და ცნობებს, რომლებიც მოგვცემდნენ საფუძველს მიმალვის რეალური საფრთხის არსებობაზე ვარაუდისათვის.⁹⁹

⁹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის N10ა/536 განჩინება

⁹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 01 ოქტომბრის N10ა/4432-16 განჩინება

⁹⁹ М. де Сальвия, Право на свободу и личную неприкосновенность, в сб. Комментарий к Конвенции о защите прав человека и основных свобод и практика ее применения- под общей ред. В.А. Туманова, Л.М. Энтина, М. изд-во НОРМА, 2002, 66

3.2.6. ძებნილი პირის დაკავება

საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ. შესაბამისად, ძებნა, შესაძლოა, გამოცხადდეს როგორც ბრალდებულზე, ასევე მსჯავრდებულზე. ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდგომ, თუ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი აღმოაჩენს იმ პიროვნებას, რომლის მიმართაც გამოტანილია ზემოაღნიშნული დადგენილება, მას უფლება აქვს მოახდინოს პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე. ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანის საფუძველს, შესაძლოა, წარმოადგენდეს პირის მიერ საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოუცხადებლობა. ასევე, თუ ბრალდებული მიმალვაშია და არ ესწრება საქმის არსებით განხილვას და თუ აღნიშნულის დასრულების შემდეგ, ბრალდებულს სასჯელის სახით დაუსწრებლად შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა, ასეთ დროსაც გამოცხადდება მსჯავრდებულის ძებნა.

აღნიშნულ საფუძველთან დაკავშირებით, პრაქტიკაში, უფრო მეტად გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც კონკრეტული პირი ჩაიდენს დანაშაულს და შემდეგ ემალება გამოძიებას, არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში თუ სასამართლოში. ასეთ დროს, გამოძიების მიერ თუ იქნება შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, მის მიმართ იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა. სსსკ-ის 45-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ იგი თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას. შესაბამისად, ასეთ დროს კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას. მართლაც, პრაქტიკიდან გამომდინარე, პირს, რომელიც ემალება გამოძიებას, ენიშნება სახაზინო ადვოკატი, რომელსაც გამოყოფს იურიდიული დახმარების სამსახური. სწორედ აღნიშნულ ადვოკატს გადაეცემა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ასევე, გადაეცემა საქმის მასალები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სხდომის გამართვამდე. აღნიშნულის შემდეგ, იმართება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, რა დროსაც მოსამართლე მსჯებლობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე. თუ ბრალდებული კვლავ არ გამოცხადდება სასამართლოში, მოსამართლე მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეურჩევს პატიმრობას, რის შემდგომაც პროკურორის დადგენილებით აღნიშნულ პირზე ცხადდება ძებნა და შესაბამისი მიმართვის წერილით აღნიშნული დადგენილება გადაეცემა ძებნის სამსახურს. მართლაც, პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც 20 ლარის გამო პირის მიმართ ჯერ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, ხოლო შემდეგ მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა და პროკურორის დადგენილებით მასზე გამოცხადდა ძებნა, რადგან ბრალდებული თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოცხადებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად,

ბრალდებულმა ბენზინგასამართ „სოკარ“-ის ტერიტორიაზე ამავე სადგური თანამშრომელს მოტყუებით ჩაასხმევინა 20 ლარის ღირებულების საწვავი და საფასურის გადახდის გარეშე დატოვა ტერიტორია. მას შემდეგ რაც პროკურორმა გამოიტანა დადგენილება აღნიშნული პირის ძებნის შესახებ, სსენებელი პირი რამდენიმე დღეში დაკავებულ იქნა სამართალდამცავების მიერ და, რა თქმა უნდა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით პირის დაკავების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ იგი იყო ძებნილი.¹⁰⁰

აღნიშნულის შემდეგ, პროკურორმა მიმართა სასამართლოს, რათა მას ძალაში დაეტოვებინა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის განჩინებით¹⁰¹, აღნიშნული პირის მიმართ შეიცვალა აღკვეთის ღონისძიება და მას შეეფარდა გირაო 3 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული მაგალითის განხილვით ვასკვნით, რომ მიუხედავად დანაშაულის კატეგორიისა და ხასიათისა, ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია აღნიშნული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, მასზე ძებნის გამოცხადება, ხოლო შემდეგ აღნიშნულ ქვეთავში განსახილველი საფუძველით გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში მისი დაკავება.

3.2.7. პირის დაკავება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის დროს

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2018 წლის 20 ივლისის მიღებული კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლმა განიცადა ცვლილება, კერძოდ, მეორე ნაწილში არასანქცირებულ დაკავებას დაემატა ახალი საფუძველი "ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი."

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონი („სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“) მიღებულ იქნა 2010 წლის 21 ივლისის, ხოლო ამოქმედებულ იქნა ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. შესაბამისად, ჩნდება გონივრული კითხვა, თუ რატომ მოხდა 2018 წელს აღნიშნული ცვლილების განხორციელება. ამის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონმა, 2018 წლის 20 ივლისის მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რამაც განაპირობა საპროცესო კოდექსშიც შესაბამისი ცვლილებების შეტანა. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ახალი რეგულაციები დაადგინა. სსენებელი

¹⁰⁰ სისხლის სამართლის N001090515001 საქმე, 21/05/2015 ბრალდებულის დაკავების ოქმი

¹⁰¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის N10ა/2275-15 განჩინება

საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა „ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმთან“ და ევროპულ კონვენციასთან „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათვორების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ: უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის მიზნით დროებითი დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირი საერთაშორისო დონეზე იძებნება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საფუძვლებიდან რომელიმით პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავების ოქმში აღინიშნება სწორედ განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძველი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ცვლილებებამდე, საერთაშორისო დონეზე ძებნილი პირის დაკავების შემთხვევაში, საფუძვლად უთითებდნენ ზემოთ განხილულ დაკავების საფუძველს „პირი ძებნილია“, თუმცა ხსენებული ცვლილებების შეტანის შემდგომ, როგორც აღინიშნა, სწორედ განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძველით მოხდება პირის დაკავება.

ვინაიდან „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განისაზღვრება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ძებნილ პირთა დაკავების საფუძვლები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილს ემატება შესაბამისი შინაარსის „8“ ქვეპუნქტი, რომლითაც სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების შესაძლებლობად მიიჩნევა ასევე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.¹⁰²

ხსენებული ცვლილებები მისასაღმებელია იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობამ ჰარმონიზაცია განიცადა საერთაშორისო აქტებთან, ამავდროულად, დაამკვიდრებს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას ეროვნულ დონეზე.

¹⁰² იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

IV თავი. დაკავების წესი

4.1. დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი

საქართველოს სსსკ-ის 172-ე მუხლის მოქმედი რედაქცია ამომწურავად ჩამოთვლის იმ პირთა წრეს, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებით კანონის საფუძველზე განახორციელონ შესაძლო დამნაშავეთა დაკავება.

დაკავების უფლება აქვს საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.¹⁰³

შესაბამისად, პირის დაკავების უფლება აქვს როგორც გამოძიებელს, ასევე საგამოძიებო ჯგუფს, ოპერატიულ თანამშრომელს, პოლიციელს, პროკურორს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფების გამოძიებლებს და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ პროკურორებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ საგამოძიებო-ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.¹⁰⁴

ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიული ფუნქციებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, განსაზღვრულია დარგობრივი კანონმდებლობით. მაგალითად, ოპერატიული ფუნქციების განმახორციელებელი პირების ნუსხა გათვალისწინებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით¹⁰⁵, რომლის თანახმად, მათ მიეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი დანაყოფები, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოპერატიულ დანაყოფები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული, საგამოძიებო და სადაზვერვო ქვედანაყოფები, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ოპერატიული ორგანოები;

¹⁰³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესო, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012, 191

¹⁰⁴ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით,, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 222

¹⁰⁵ იხ. „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი

პროკურატურის გამომძიებლები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები და თანამშრომლები.

საინტერესოა, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ხედავს, რომ კონკრეტული პიროვნება ჩადის დანაშაულს, თუმცა აღნიშნულ მომენტში იგი (სამართალდამცავი) არ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ასეთ დროს, თუ ზემოაღნიშნული პირები იმყოფებიან შვებულებაში, საავადმყოფო ფურცელზე ან რაიმე სხვა საფუძვლით დროებით აქვთ შეჩერებული სამსახურებრივი უფლებამოსილება, მათ არ გააჩნიათ პირის დაკავების უფლება, თუმცა შეუძლიათ განახორციელონ დამნაშავის შეპყრობა კერძო პირის სტატუსით და უზრუნველყონ მისი წარდგენა უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში (და არა აუცილებლად მათ სამუშაო ადგილას).¹⁰⁶

აღსანიშნავია, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ძველი სსსკ-ის 142-ე მუხლი პირველი ნაწილი ითვალისწინებდა კერძო პირის მიერ დაკავების შესაძლებლობას „დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე პირის წასრებისას“,¹⁰⁷ თუმცა ახალმა რედაქციამ არ გაითვალისწინა ანალოგიური ვითარება, რაც სწორად გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს კერძო პირების მხრიდან ბრალდებულის დაკავების შესაძლებლობას სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც კი მათ შორის, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პირის წასწრების შემთხვევაშიც, რითაც უზრუნველყოფს დაცვის დამატებითი გარანტიების დადგენას.¹⁰⁸

ვთვლით, რომ სისხლის სამართლის წესით პირის დაკავება უნდა განახორციელოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილემ და იგი უნდა იქნას აღჭურვილი ყველა იმ უფლებით და მოვალეობით, რასაც მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს, ხოლო სხვა შემთხვევაში, კერძო პირების მხრიდან უნდა განხორციელდეს არა შესაძლო დამნაშაის დაკავება, არამედ დამნაშაის შეპყრობა, რაც მოქმედი სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარიმართოს.¹⁰⁹

დამნაშაის შეპყრობის შემთხვევაში შესაბამისი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პოლიციას ან თავად მიიყვანოს პირი სამართალდამცავ ორგანოში. ოქმის შედგენა ხდება მხოლოდ დაკავებაზე უფლებამოსილი იმ პირის მიერ, ვისაც გადაეცემა დაკავებული პირი. შესაბამისად, ოქმი შედგება დაკავებულის

¹⁰⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 510

¹⁰⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, 142-143-ე მუხლები

¹⁰⁸ ლ. ფაფიაშვილი, „თავისუფლებაზე მზულდველი საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები“, ურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, ნომერი IV, 2011, 100

¹⁰⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი

უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ან შესაბამის დაწესებულებაში მისი წარდგენის შემდეგ.¹¹⁰

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კერძო პირის მიერ დამნაშავეის შეპყრობის ვადა არ ითვლება დაკავების ვადაში.¹¹¹

4.2. გასაგები ფორმით დაკავების საფუძვლის შეტყობინება

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება გვეუბნება, რომ თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს. შესაბამისად, დაკავებული პირისათვის დაუყოვნებლივ დაკავების საფუძვლის შეტყობინებას საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს როგორც ქვეყნის უმაღლესი კანონი, ასევე საპროცესო კანონმდებლობა. აღნიშნული კი მიუთითებს იმას, რომ თავისუფლება შეზღუდული პირი დაკავების პირველივე წამებიდან აღჭურვილია შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებით.

ნებისმიერი დაკავებული პირი სარგებლობს მინიმალური სამართლებრივი გარანტიებით, რაც უზრუნველყოფს თავისუფლების აღკვეთის პირველივე წუთიდან მის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია დაკავების მიზეზებისა და დასაბუთების შესახებ; ამ ინფორმაციის მისთვის გასაგებ ენაზე მიღების უფლებას; იურიდიული კონსულტაციის მიღებისა და სამართლებრივი წარმომადგენლის ყოლის უფლებას, ასევე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას.¹¹²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების განმახორციელებელი პირი არ არის ვალდებული დაკავების მომენტში დეტალურად განუმარტოს დაკავებულს მთელი ბრალდება.¹¹³

ამისათვის ბრალდების მხარეს აქვს დამატებით 48 საათი, რომლის განმავლობაშიც ბრალდებულის სახით დაკავებულს გადაეცემა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ, სადაც სრულად იქნა აღწერილი მისთვის ინრკიმინირებული ქმედება.

გარდა აღნიშნულისა, განმარტება უნდა იყოს მარტივ, არატექნიკურ ენაზე გაკეთებული იმისათვის, რომ პირმა გააცნობიეროს რა ხდება მის გარშემო.

¹¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 512

¹¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 223

¹¹² ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 1

¹¹³ Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, ECtHR, 30/08/1990, 12244/86; 12245/86; 12383/86, 40-41; Shamayev and Others v. Georgia and Russia, ECtHR, 12/04/2005, 36378/02, 413-428

შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული პირის ინდივიდუალური უნარები და ნაკლი.¹¹⁴

დაკავების საფუძვლის განმარტება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ზოგადსამართლებრივ საფუძველს დაკავებისათვის, არამედ საკმარის ფაქტობრივ დეტალებს.¹¹⁵

ქართულ საგამოძიებო პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად ხორციელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაკავება სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის. მიუხედავად პირის ეროვნებისა, გასაგები ფორმით დაკავების საფუძვლის შეტყობინების ვალდებულება გულისხმობს, რომ დაკავების პირველივე წამებიდან (პირველივე შესაძლებლობიდან) ხსენებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპეტენტური თარჯიმნის მომსახურებით. ამ სამართლებრივ ვალდებულებასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო ორგანოებს ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული კერძო სათარჯიმნო ბიუროებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ დაკავებულებს სათანადო თარჯიმნის მომსახურებით. შესაბამისად, თუ არსებობს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩადის გარკვეულ დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე და უნდა განხორციელდეს მისი დაკავება, საგამოძიებო ჯგუფთან ერთად აღნიშნული პირის დასაკავებლად უნდა წავიდეს თარჯიმანიც, რომელიც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო დამნაშავის დაკავების პირველივე წამებიდან უზრუნველყოფს თავისუფლებაშემზღვევლ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შესაბამისი მომსახურებით, რაც გულისხმობს მისთვის როგორც დაკავების საფუძვლის შეტყობინებას, ასევე დაკავების ოქმის თარგმნას და სხვა სავალდებულო პროცედურებში ხელშეწყობას. თუმცა, ბუნებრივია, ყოველთვის არ არსებობს ამგვარი სახის ოპერატიული ინფორმაცია და არის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები დაკავების შემდეგ ადგენენ პირის ეროვნებას და თუ რომელი ენა ესმის მას. დაკავების საფუძველი და მიზეზი პირს უნდა ეცნობოს უშუალოდ დაკავების მომენტში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში დაყოფილება გარდუვალი და გამართლებულია (მაგალითად, როდესაც საჭიროა თარჯიმნის მოძიება) იმ პირობით, რომ დაკავებული დაკავების მომენტიდან გარკვეული ზომით აცნობიერებს დაკავების მიზეზს.¹¹⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგები ფორმით დაკავების საფუძვლის შეტყობინება უმნიშვნელოვანესია, რადგან აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფამ, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას მომავალში ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯებულების განხორციელებას.

¹¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 514

¹¹⁵ Galuashvili v Georgia, ECtHR, 17/07/2008, 40008/04, 38, 39; Keus v Netherlands, ECtHR, 25/10/1990, 12228/86, 22

¹¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 515-516

პირველ რიგში იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულ განმარტებამდე მიღებული განცხადება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი და მეორე მხრივ, ასეთი დაკავება პირველი წარდგენის სხდომაზე უკანონოდ იქნება ცნობილი, რაც მომავალში, ასევე გაართულებს ხსენებული პირის სათანადო ქცევის უზრუნველყოფას.

4.3. სსკ-ით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის განმარტება

სსკ-ის მოქმედი რედაქცია სავალდებულოდ მიიჩნევს დაკავების მომენტში დაკავებულისათვის იმის განმარტებას, თუ კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენისათვის განხორციელდა ამ კონკრეტული პირისათვის თავისუფლების შეზღუდვა. მაგალითად, თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისათანავე, მაშინ, როდესაც აღნიშნული პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა სხვა ადამიანის კუთვნილ ნივთს, სამართალდამცავის მხრიდან მისი დაკავების მომენტში, მას გასაგები ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს, რომ იგი დაკავებულია ქურდობისათვის, ესე იგი, დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით. აღნიშნულ განცხადებას, გარდაუვლად უნდა მოჰყვეს მისთვის ძირითადი უფლებების განმარტებაც. ამავდროულად, დაკავების მომენტში შესაძლებელია დამკავებელმა პირმა არ იცოდეს ქმედების ზუსტი კვალიფიკაცია. ქურდობის ზემოაღნიშნულ მაგალითში, შესაძლებელია, მოგვიანებით დადგინდეს, რომ ნივთი (მობილური ტელეფონი, ოქროს ყელსაბამი), რომელსაც ფარულად დაეუფლა პირი არის 150 ლარზე ან 10 000 ლარზე მეტი ღირებულების, რაც სამომავლოდ შეცვლის კვალიფიკაციას. შესაბამისად, პრაქტიკაშიც შესაძლებელია, რომ დაკავების ოქმში მიეთითოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხოლო, მას შემდეგ, რაც შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დადგინდება ნივთის რეალური ღირებულება, უკვე ბრალდების შესახებ დადგენილებაში დაზუსტდება კვალიფიკაცია და მას ბრალი წარედგინება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ან მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (იმის მიხედვით, თუ რა ღირებულების იქნება დაზარალებული კუთვნილი ნივთი).

პირისათვის ზემოხსენებული შეტყობინების სავალდებულობის მიზანია, რომ დაკავებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდეს სადავო გახადოს დაკავების კანონიერება, თუ დაკავება დაუსაბუთებლად ან/და უკანონოდ მიაჩნია. ამიტომ დაკავების მიზეზები და საფუძვლები მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით მოხდა პირის დაკავება და რომელი ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე.¹¹⁷

¹¹⁷ Shamayev and Others v Georgia and Russia, ECtHR, 12/04/2005, 36378/02, 413; Nechiporuk and Yonkalo v Ukraine, ECtHR, 21/04/2011, 42310/04, 209-211

როდესაც პირის დაკავება ხორციელდება ერთზე მეტ დანაშაულთან დაკავშირებით, დაკავების განმახორციელებელი პირი ვალდებულია მინიმალური მოცულობით მაინც აცნობოს დაკავებულს დაკავების მომენტში ყველა იმ დანაშაულის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს გამოძიება და ხორციელდება მისი დაკავება.¹¹⁸

ინფორმაცია დაკავების საფუძვლების შესახებ პირს უნდა მიენოდოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ობიექტურად არსებობს ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულების განადგურების საფრთხე.¹¹⁹

დაკავების საფუძვლების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით კანონმდებლობა რაიმე გამონაკლისებს და შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მიუხედავად სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებისა, დამკავებელი მოხელე ყველა შემთხვევაში ვალდებულია გასაგები ფორმით შეატყობინოს დაკავებულს დაკავების საფუძველი და განუმარტოს, თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული.

4.4. დაკავებულის უფლებები

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, დაკავების მომენტში დაკავებულ პირს ენიჭება ბრალდებულის ყველა უფლება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლში. გარდა აღნიშნული უფლებებისა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს აცნობოს, რომ მას აქვს 1) უფლება ადვოკატზე; 2) ღუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება; 3) უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და 4) რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში.

იმისათვის, რომ პირს ჰქონდეს უფლებების გამოყენების რეალური შესაძლებლობა, მისთვის ცნობილი უნდა იყოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

ზემოთ დასახელებული ოთხი უფლება დაკავშირებულია ე.წ. „მირანდას უფლებებთან“. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1966 წელს გააუქმა მსჯავრდებულ ერნესტო მირანდას მიმართ გამოტანილი განაჩენი კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების დარღვევის მოტივით. ამ დარღვევის ანალიზისას, სასამართლომ ჩამოაყალიბა კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის (V შესწორების) განმარტება (ინტერპრეტაცია), რომელიც ცნობილია „მირანდას წესების“ სახელით.¹²⁰

¹¹⁸ Lutsenko v Ukraine, ECtHR, 03/07/2012, 6492/11, 77

¹¹⁹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 226

¹²⁰ გაბისონია ი., საკონსტიტუციო კონტროლი და დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებული საპროცესო პრობლემები, უკრნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, თბილისი, 2003, 87

მნიშვნელოვანია, თავდაპირველად, ყურადღება გავამახვილოთ დამცველის ყოლის უფლებაზე. დაცვის უფლება განმტკიცებულია ქვეყნის უზენაესი კანონით. აღნიშნული უფლება აღიარებულია არამხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლება: გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმ, სრული თანასწორობის საფუძველზე, მიიღოს შემდეგი გარანტიები: ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს.

დაცვის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი უფლებაა როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო სამართალში. ერთია პირმა იცოდეს მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო მეორე, შეეძლოს ამ უფლებების რეალიზაცია. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირებიდან უმეტესობა ვერც კი ხვდება მათთვის მინიჭებული უფლებების არსს, რის გამოც აუცილებელია, ასეთმა პირებმა მიიღონ სათანადო იურიდიული დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ეს უფლება კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხებია დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და უფლება არ დაიბრალო დანაშაული. ევროპის სასამართლომ უკვე კარგად დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ განაცხადა, რომ დუმილის უფლება და უფლება, არ დაიბრალო დანაშაული, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის ცნების საფუძველს წარმოადგენენ.¹²¹

აღნიშნულის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ბრალდებული სამართალდამცავების მხრიდან არასწორი იძულებისაგან/ზენოლისაგან და ამგვარად თავიდან იქნას აცილებული მართლმსაჯულების ხარვეზები და შესრულდეს მე-6 მუხლის მიზნები.¹²²

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ დაკავებული მისი მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო შემოწმების უფლებით. ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტები სამედიცინო დახმარების შესახებ მნიშვნელოვან ვალდებულებას (თითქმის აბსოლუტურს) აკისრებს სამართალდამცავებს, უზრუნველყონ მათ მიერ დაკავებული პირის სამედიცინო

¹²¹ ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 56

¹²² Bykov v. Russia, ECtHR, 10/03/2009/, 4378/02, 92

დახმარება, თუკი დაკავებული საჭიროებს სამედიცინო დახმარებას ან მკურნალობას.¹²³

ქართულ მაგალითზე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში სამედიცინო შემონმების დროულობა, სრულყოფილება და ფარგლები პათირობის ადგილზეა დამოკიდებული. პოლიციის დანესებულებაში ავტომატური სამედიცინო შემონმება არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან იქ სამედიცინო წარმომადგენელი მუდმივად არ ჰყავთ. თუკი დაკავებულს სამედიცინო დახმარება სჭირდება პოლიციის დანესებულებაში, პოლიციის მოხელე სასწრაფო დახმარების სამსახურს უკავშირდება და დაკავებულს სამედიცინო დახმარებას ისინი უწევენ.¹²⁴

დაკავებულის მოთხოვნით სამედიცინო შემონმების ვალდებულობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების დასადასტურებლად. აქედან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში, დაკავებული პირი, მისგან ასეთი მოთხოვნის არსებობის დროს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამედიცინო შემონმებით (დახმარებით), წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვეული იქნება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სტანდარტები და წახალისდება პოლიციელთა (დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა) მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცავები ძალზედ ფრთხილად უნდა იყვნენ დაკავებული პირისათვის ყველა ზემოაღნიშნული უფლების განმარტებისას, ვინაიდან, დაკავებული პირის მიერ, მისთვის უფლებების განმარტებამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასევე ასეთი განცხადების საფუძველზე მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა.¹²⁵

ხაზგასასმელია ასევე ისიც, რომ დაკავებულის ყველა უფლება მითითებულია დაკავების ოქმში, რომელიც გადაეცემა დაკავებულს, თუმცა მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც, გამომძიებლები საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის მითითებით დაკავების ოქმის გარდა დაკავებულ პირს ცალკე გადასცემენ ბრალდებულის უფლება-მოვალეობათა ნუსხას, რომლის მიღებასაც თავისუფლებამზღვეული პირი ადასტურებს ხელმოწერით. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე ერთვება სისხლის სამართლის საქმეს. ხსენებული წარმომადგენს ბრალდების მხარის მხრიდან უფრო მეტად გამყარებულ საფუძველს, რომ დაკავების მომენტში ბრალდებულს სრულყოფილად და ამომწურავად განემარტა საკუთარი უფლებები და აღნიშნულ კონტექსტში რაიმე სახის გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

¹²³ ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 60

¹²⁴ იქვე, 62

¹²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 228

4.5. დაკავების ოქმი და მისი სავალდებულო რეკვიზიტები

საქართველოს სსსკ-ის 175-ე მუხლი სრულად ეძღვნება დაკავების ოქმს, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული საპროცესო დოკუმენტის მნიშვნელობის ხარისხს. ხსენებულ მუხლში დეტალურად არის რეგლამენტირებული თუ რა დროს არის სავალდებულო დაკავების ოქმის შევსება, ასევე, ის რეკვიზიტები, რომლებსაც აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღნიშნული დოკუმენტი. გარდა ამისა, ხსენებულ მუხლშივეა ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, რომლებიც ხელს აწერენ დაკავების ოქმს. ასევე, გათვალისწინებულია ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც მოყვება დაკავების ოქმის დაკავებულისთვის არ გადაცემას ან აღნიშნული ოქმის არსებითი დარღვევით შევსებას (თუ აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას).

სსსკ-ის 175-ე მუხლი ითვალისწინებს დაკავების ოქმის შედგენის ორ წესს: 1) ზოგადი წესი - ოქმი უნდა შედგეს უშუალოდ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ; 2) საგამონაკლისო წესი - სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.¹²⁶

ოქმის შედგენის საგამონაკლისო წესის თანახმად, ოქმის სამართალდამცავ ორგანოში დაკავებულის მიყვანის შემდეგ დაიშვება: 1. თუ ობიექტურად არსებული გარემოებების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია ოქმის დაკავების ადგილას შედგენა. მაგალითად, მასობრივი არეულობის დროს/მიტინგის/საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას პირის დაკავება; 2. ოქმი შედგენილია დაკავებული პირის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე; 3. ოქმში სავალდებულო წესით უნდა აღინიშნოს მიზეზი, რომლის გამოც ოქმი ვერ შედგა დაკავების ადგილზე.¹²⁷

პრაქტიკაში, რეალურად დგება ისეთი მომენტები, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო დაკავების ოქმის შედგენა დაკავების ადგილზე შეუძლებელია და აღნიშნული ხორციელდება პირის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში პოლიცია დაკავების ოქმის შედგენას პოლიციის დანესებულებაში ახდენს. მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა პოლიციას საშუალება, ოქმი ადგილზე შეედგინა, მას ურჩევნია მისი განყოფილებაში შესრულება.¹²⁸

მართლაც, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დაკავების ოქმში დაკავების ადგილას ოქმის შეუვსებლობის მიზეზად ასახელებენ ხალხმრავლობას, რისი გადამონშებაც პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, აღნიშნულზე არ და ვერ მსჯელობს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის მოსამართლე. აღნიშნული თვალსაზრისით კანონმდებლობა გადახედვას საჭიროებს იმდენად, რამდენადაც დაკავებს ოქმს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება პირის გადაადგილების

¹²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 520

¹²⁷ იქვე

¹²⁸ ბოხაშვილი ბ., მშენიარაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 54

თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის მტკიცების, პირის დაკავების დროის, ადგილის, დაკავების განხორციელების კანონიერების დადასტურების/შემოწმებისათვის.¹²⁹ აღსანიშნავია, რომ დაკავების ოქმის ფორმა შემუშავებულია პრაქტიკოსების მიერ, თუმცა, როგორც აღინიშნა, ოქმის სავალდებულო რეკვიზიტებს კანონმდებლობა ადგენს.

გარდა სავალდებულო რეკვიზიტებისა, საპროცესო კანონმდებლობა¹³⁰ ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც ხელს აწერენ დაკავების ოქმს, ესენია: დამკავებელი თანამდებობის პირი, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთვევაში). ასევე, როდესაც დაკავებულს მიიყვანენ სამართალდამცავ ორგანოში, მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს აღნიშნული ორგანოს უფლებამოსილი პირი. ხსენებული პირი, შესაძლოა, იყოს კონკრეტული განყოფილების/სამმართველოს უფროსი ან უფროსის მოადგილე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესაძლებელია უშუალოდ დამკავებელი პირი იყოს სხვა, ხოლო ოქმი შეადგინოს სხვა უფლებამოსილმა პირმა. მაგალითად, შესაძლებელია, პირი დააკავოს ოპერატიულმა თანამშრომელმა, ხოლო ოქმი შეადგინოს გამომძიებელმა. ასეთ დროს, ორივე მათგანი აწერს ხელს დაკავების ოქმს. ასევე, უნდა ითვქვას, რომ დაკავების ოქმის ხელმოწერასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პრაქტიკაა ქართულ გამოძიებაში, მაგალითად, ზოგიერთი პროკურორი/გამომძიებელი ითხოვს, რომ დაკავებულმა დაკავების ოქმს ხელი მოაწეროს როგორც უშუალოდ ოქმში მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილებზე, ასევე, თითოეული გვერდის ბოლოს, ხოლო ზოგიერთი პროკურორი/გამომძიებელი კმაყოფილდება დაკავებულის მხრიდან მხოლოდ კონკრეტულად ამისათვის განსაზღვრულ ადგილას ხელის მოწერით. უნდა ითვქვას, რომ სასამართლოს მხრიდან არცერთი შემთხვევა არ არის მიჩნეული დარღვევად, რის გამოც ორივე ვითარება დაკავების ოქმის სწორად შევსებას შეესაბამება.

სსსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით¹³¹, რა დროსაც ამ საგანობიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, პრაქტიკაში ადგენენ არა დაკავების ოქმს, არამედ ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში ჩატარებული პირადი ჩხრეკა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად, რის გამოც 24 საათში პროკურორმა უნდა მიმართოს შესაბამის სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი

¹²⁹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით,, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 233

¹³⁰ იხ. სსსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილი

¹³¹ იხ. სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილი

ჩხრეკის კანონიერების შემოწმების თაობაზე, ხოლო დაკავების კანონიერებას შემოწმებს სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სხდომაზე.

დაკავების ოქმის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ასევე ის გარემოებაც, რომ თუ დაკავების ოქმის ასლი არ გადაეცა დაკავებულს, საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მართლაც, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთ-ერთ თავის განჩინებაში განმარტავს დაკავების დროს არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს და ერთ-ერთ ასეთ დარღვევად მიიჩნევს დაკავების ოქმის ასლის დაკავებულებისთვის გადაუცემლობას.¹³²

შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული სამართალდამცავი ვალდებულია დაკავების ოქმი შეადგინოს კანონში პირდაპირ მითითებული წესების სრული დაცვით და თითოეული საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნულ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ, დაკავების ოქმის ასლი გადასცეს დაკავებულს.

4.6. დაკავების ვადა

დაკავების ვადას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დაკავების კანონიერების სამტკიცებლად, ასევე, დაკავებული პირების უფლებების დაცვის კუთხით. დაკავების ვადა განსაზღვრულია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე, დაკავების ვადა თავად კონსტიტუციამ განსაზღვრა. ქვეყნის უზენაესი კანონის მოქმედი რედაქციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე და მესამე წინადადებების თანახმად, დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. შესაბამისად, სახელმწიფოს უმთავრესმა კანონმა დაკავების მაქსიმალურ ვადად 72 საათი დაადგინა. აღნიშნული დანაწესის სულისკვეთებას იზიარებს საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილიც.

საინტერესოა და აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთაშორისო კანონდამებლობა დაკავების ზუსტ ვადას არ ადგენს, არამედ იყენებს ტერმინს „დაუყოვნებლივ“. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს

¹³² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის N1გ-63 განჩინება

სასამართლომ გონივრულ ვადაში. ტერმინი „დაუყოვნებლივ“ პირის პატიმრობასთან დაკავშირებით ნებისმიერი თვითნებობის უპირობო აკრძალვიდან მომდინარეობს.¹³³ ევროპულ სასამართლოს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს დადგენილი დაუყოვნებლობის მოთხოვნის დარღვევა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, საინტერესოა, საქმე „საკიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“,¹³⁴ რომელიც ტერორისტების მიერ განხორციელებულ ქმედებებს ეხებოდა. აღნიშნულ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ თორმეტიდან თოთხმეტ დღემდე პატიმრობა (დაკავება)¹³⁵ სასამართლო ზედამხედველობის გარეშე მიუღებლად მიიჩნია. სასამართლო ზედამხედველობის ვადების დადგენის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა „ბროუგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“¹³⁶, რომელშიც არა მარტო დადგინდა, რომ ოთხი დღისა და ექვსი საათის პერიოდი მეტისმეტად ხანგრძლივია, არამედ გარკვეულწილად ნათელი მოეფინა თავდაპირველი დაპატიმრების შემდეგ პირის სასამართლოს წინაშე წარდგენის ვალდებულების უშუალო მიზანს. ზემოაღნიშნულის მსგავსად, ხსენებულ საქმეშიც დაკავებული იყო ტერორისტი. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ „საქმის სპეციფიკური გარემოებებისთვის ისეთი მნიშვნელობის მინიჭება, რომ გამართლებული იქნეს პატიმრობის ასეთი ხანგრძლივი პერიოდი მოსამართლის ან სხვა სასამართლო მოხელის წინაშე წარდგენის გარეშე, სიტყვის „დაუყოვნებლივ“ ცხადი მნიშვნელობის დაუშვებლად ფართო განმარტება იქნებოდა“.¹³⁷

რაც შეეხება ქართულ რეალობას, საერთაშორისო კანონმდებლობისგან განსხვავებით, როგორც ზევით აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით ზუსტად არის განსაზღვრული დაკავების ვადა, რომლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 72 საათია. აღნიშნული ვადის სრული სიზუსტით გამოსაანგარიშებლად, აუცილებელია, ზუსტად იყოს დადგენილი დაკავების ფაქტობრივი დრო. სწორედ ამიტომაც, დაკავების ოქმში ცალ-ცალკე არის გრაფები „დაკავების ფაქტობრივი დრო“ და „ოქმის შედგენის დანყების დრო“. დაკავების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივი დაკავებიდან (და არა ოქმის შედგენიდან ან პოლიციის დანესებულებაში პირის მიყვანიდან) 72 საათს.¹³⁸

დაკავების ვადის კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულ უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. აღნიშნული იმპერატიული დანაწესი დადგენილია სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილის მეორე წინადადებით. ამავე ვადაში უნდა მოხდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ

¹³³ მჭედლიძე ნ. (რედ), ჭელიძე ლ. (მთარგ.), პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, 2004, 85

¹³⁴ Sakik and Others v. Turkey, ECtHR, 26/11/1997, 87/1996/67/897-902

¹³⁵ ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლო დაკავებასა და დაპატიმრებას არცთუ იშვიათად ერთ კონტექსტში მოიხსენიებს

¹³⁶ BROGAN V. UNITED KINGDOM, ECtHR, 29/11/1988, 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85

¹³⁷ იქვე

¹³⁸ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 231

შუამდგომლობის შეტანაც. პრაქტიკაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში მოხდა პირის დაკავება, თუმცა მომდევნო 48 საათში გამომდინარე იქიდან, რომ ვერ შეიკრება საკმარისი მტკიცებულებები, პროკურორმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად აღნიშნული პირისათვის ბრალის წაყენება. აღნიშნულ ვითარებაში, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ხსენებული იმპერატიული დანაწესი, ასევე არის დადგენილი სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილით. შესაბამისად, თუ პირს ბრალდება არ წარედგინა და იგი გათავისუფლდა დაკავებისგან, ბუნებრივია, რომ ბრალდების მხარე აღვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით აღარ მიმართავს სასამართლოს. აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ პირის დაკავების კანონიერებას ვერ შემოწმდება სასამართლოს მიერ, რაც ეწინააღმდეგება არამართო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობას. ვიღებთ ისეთ ვითარებას, რომ დაკავებულს აღარ რჩება ბერკეტი იდაოს მისი დაკავების მართლზომიერებაზე. სსსკ-ის 176-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს შესაძლებლობას, დაკავებულს აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავებისათვის, მაგრამ თუ ვერ მოხდება პირის დაკავების კანონიერების შემოწმება, როგორ დადგინდება, რომ დაკავება იყო უკანონო? მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით აღნიშნული ვითარება დარეგულირებული არ არის, რის გამოც ხსენებულ კონტექსტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადახედვას/დაზუსტებას საჭიროებს.

დაკავების ვადის სწორად განსაზღვრა, ასევე, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში. ყველასთვის ნათელია, რომ თავისუფლების ყოველი წამი უდიდესად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის, რის გამოც თითოეული სამართალდამცავი მაქსიმალური ყურადღებით და კანონის უზენაესობით განსჯვალული უნდა მოეპყრას პირის დაკავების ვადის სისწორეს.

4.7. დაკავებიდან გათავისუფლება

დაკავებულის გათავისუფლების საფუძველს და წესს საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს მოქმედი სსსკ-ის 176-ე მუხლი. ხსენებულ ნორმაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის საფუძვლები, რომლის არსებობის დროსაც დაკავებულის გათავისუფლება სავალდებულოა. პირველ ასეთ საფუძვლად მითითებულია შემთხვევა, როდესაც დაკავების შემდეგ არ დადასტურდება ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. აღნიშნული ვითარება განხილულ იქნა წინა ქვეთავში, რის შედეგადაც მივედით დასკვნამდე, რომ ამ კონტექსტში საპროცესო კანონმდებლობა გადახედვას საჭიროებს. რაც შეეხება შემდეგ გარემოებას, აღნიშნული დაკავებულებულია ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომასთან, სადაც განიხილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული

არ იქნება პატიმრობა, იგი დაუყოვნებულ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ასეთ დროს, პირი თავისუფლდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. დაკავებული, ასევე უნდა გათავისუფლდეს, თუ გავიდა დაკავების ვადა, ანუ 72 საათი. ასეთ დროს, პირი გათავისუფლდება დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით. გათავისუფლების შემდეგი საფუძველი დაკავშირებულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობასთან. აღნიშნული თანხმობა, თავის მხრივ, ერთ შემთხვევაში გულისხმობს იმუნიტეტის მქონე პირის დაკავებისას, თანხმობის სავალდებულო გამოთხოვას, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაკავებულის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე შესაბამისი თანამდებობის პირის (სამმართველოს/განყოფილების უფროსის/უფროსის მოადგილის) მიერ დაკავების დადასტურებას. აღნიშნული თანხმობის ვერ მიღების შემთხვევაში, დაკავებული გათავისუფლდება პროკურორის დადგენილებით.

გათავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველია, ვითარება, როდესაც დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის განჩინებაში, მოსამართლემ განმარტა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები. მისი მითითებით, „სასამართლო მიიჩნევს, რომ დაკავებისა და ბრალდებულად ცნობის პროცესში არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები დაშვებული არ ყოფილა, კერძოდ: დაკავების შემდეგ შედგენილი იქნა დაკავების ოქმები, რომლის ასლები ჩაბარდა დაკავებულებს, მათ დაკავების ოქმითვე განემარტათ საპროცესო უფლებები; დაკავება განახორციელა უფლებამოსილმა პირმა კანონით დადგენილი საფუძველით; დაკავებულები კანონით დადგენილ ვადაში ცნობილი იქნენ ბრალდებულად და კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა უფლებამოსილ სასამართლოს.¹³⁹

დაკავებიდან გათავისუფლების კანონისმიერი საფუძველია, ასევე ვითარება, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი. აღნიშნული ვითარება პრაქტიკაში იშვიათია, ვინაიდან თვითონ დაკავება არის ძალზედ ხანმოკლე. შესაბამისად, თუ სამართალდამცავები ჩათვლიან საჭიროდ, რომ არსებობს პირის დაკავებისათვის საკმარისი საფუძველები, 72 საათიან ვადაში არამგონია იმდენად შეიცვალოს გარემოებები, რომ საპროცესო კანონმდებლობის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ ჩათვალოს აუცილებლად. ამავდროულად, 72 საათიან ვადაში უკვე სასამართლოსაც წარედგინება დაკავებული პირი ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სადაც უკვე სასამართლო იმსჯელებს ხსენებული მიზნის არსებობა/არარსებობაზე, რის შედეგადაც დაკავებულს შეუფარდება პატიმრობას, უფრო ნაკლები სიმძიმის აღკვეთის ღონისძიებას ან დატოვებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე. მიუხედავად აღნიშნულისა,

¹³⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის N1გ-63 განჩინება

თეორიულად მაინც შესაძლებელია აღნიშნულის საჭიროება დადგეს პრაქტიკაშიც, რა დროსაც პირის დაკავებიდან გათავისუფლების თაობაზე გადანყვეტილებას მიიღებს პროკურორი.

თითოეული ზემოაღნიშნული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დაკავებულ პირს გათავისუფლებისას გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების ასლი, რომელშიც უნდა აღინიშნოს პირის დაკავების საფუძველი, ხანგრძლივობა და გათავისუფლების საფუძველი. გადანყვეტილების ასლთან ერთად, პირს ასევე გადაეცემა პირადი ნივთები და დოკუმენტები.¹⁴⁰

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაკავებიდან გათავისუფლება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს უკანონო და დაუსაბუთებელ დაკავებასთან, რის გამოც, ასეთ დროს, კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპენსაციის მიღების უფლებას. აღნიშნული თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, დამოუკიდებელ ქვეთავად განგვეხილა ხსენებული საკითხი.

4.8. უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების უფლება

კომპენსაციის მიღების უფლება იმდენად წონადი და მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ იგი განმტკიცებულია როგორც ნაციონალურ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. სწორედ აღნიშნული ნორმის შინაარსს იმეორებს მოქმედი კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი და საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის მე-5 პუნქტი. ევროპული კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ეროვნულ დონეზე განამტკიცონ კომპენსაციის მიღების უფლება. ამგვარი უფლების არარსებობა უცილობლად გამოიწვევს პასუხისმგებლობას ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებისას.¹⁴¹

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, სასამართლოს პრეროგატივაა პირისათვის კომპენსაციის მიღების უზრუნველყოფა. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის პირობები სახელმწიფოს არ ანიჭებს დისკრეციას, თავად განსაზღვროს კომპენსაციის სახით სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფილი ორგანო. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს, რომ ასეთი საშუალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლოს სახით, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული საშუალება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლებრივად სავალდებულო გადანყვეტილებით.¹⁴²

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორებით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017, 244

¹⁴¹ მჭედლიძე ნ. (რედ), ჭელიძე ლ. (მთარგ.), პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, 2004, 102

¹⁴² იქვე

ქართულ რეალობაში კომპენსაციის უფლება, როგორც წესი, უკავშირდება დაკავებისას ორი სახის დარღვევას: მატერიალურ და ფორმალურ/საპროცესო ხასიათის დარღვევებს.¹⁴³

მატერიალური ხასიათის დარღვევად, შესაძლოა, მივიჩნიოთ ვითარება, როდესაც დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტით ვერ დგინდება პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენა, თუმცა მაინც ხორციელდება აღნიშნული პირის დაკავება. ასევე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის დაკავება იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.¹⁴⁴

ფორმალურ/საპროცესო ხასიათის დარღვევას განეკუთვნება ვითარება, როდესაც შესაბამისი სტანდარტით არ არის დადგენილი საფრთხეები - მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა პირის დაკავება. ორივე ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში პირს ენიჭება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით კომპენსაციის მიღების უფლება.

მართალია, ეროვნულ დონეზე განმტკიცებულია უკანონო დაკავების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა უშუალოდ ამ უფლების შესახებ დაკავებულისათვის ზეპირსიტყვიერად ინფორმირებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამავდროულად, უმჯობესი იქნება, დაკავების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, მოსამართლემ განჩინებაში განუმარტოს ბრალდებულს იმის შესახებ, რომ მას აქვს უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაში¹⁴⁵, სადაც ბრალდებულ რ.ი-ის დაკავება ცნობილი იქნა უკანონოდ, განჩინების ვერცერთ ნაწილში ვერ ვკითხულობთ ამ უფლების განმარტების შესახებ. აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულ რ.ი-ს განმარტებოდა დადგენილ ვადაში გირაოს თანხის შეუტანლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ, თუმცა არაფერია ნახსენები უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების უფლებაზე. შესაბამისად, აღნიშნული მსჯელობის მხედველობაში მიღებით, უმჯობესი იქნება, დაკავების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, მოსამართლეებმა, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, სხვა საკითხების განმარტებასთან ერთად, ბრალდებულს აცნობონ კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლებაზეც. აღნიშნული უფრო მეტად ქმედითს გახდის ხსენებული უფლების პრაქტიკაში რეალიზაციას.

¹⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015, 523

¹⁴⁴ იქვე

¹⁴⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის N10ა/536 განჩინება

თავი V. დაკავება საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით და დადგენილი სტანდარტები

5.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს დაკავების სტანდარტებს, რომლის საკანონმდებლო საფუძველია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული დანაწესის ანალიზით დგინდება, რომ პირის დაკავებას აუცილებელია ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი. დაკავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნას ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საფრთხეები. მორალური დევნის განსახორციელებლად გამოყენებული დაკავება არღვევს კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.¹⁴⁶

შესაძლებელია, დაკავების დროს თუმცადა ფორმალურად დასჯილი იყოს ნაციონალური კანონის მოთხოვნები, მაგრამ თავისუფლების შეზღუდვა მაინც ჩაითვალოს ევროპული კონვენციის საწინააღმდეგოდ, მაშინ, როდესაც იგი არ არის განხორციელებული კანონით გათვალისწინებული მიზნით.¹⁴⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირის დაკავებიდან გათავისუფლება ან/და მისთვის ბრალდების მოხსნა აპრიორი არ გულისხმობს დაკავების კანონიერი მიზნის არარსებობას.¹⁴⁸

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში წარმოდგენილია დაკავების ან დაპატიმრების სამივე ალტერნატიული დასაბუთება.¹⁴⁹ აღნიშნული დანაწესის თანახმად, პირის დაკავება ან დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში და კომპეტენტური სამართლებრივი უწყების წინაშე წარდგენის მიზნით, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მას ჩადენილი აქვს სამართალდარღვევა.¹⁵⁰

ხსენებული ნორმით დაწესებული სტანდარტი არ მოიცავს ვარაუდს იმის შესახებ, რომ პოლიციას გააჩნია საკმარისი მტკიცებულება ბრალის წასაყენებლად დაკავების მომენტში ან პირის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში.¹⁵¹

პატიმრობის პროცესში დაკითხვის მიზანია გამოძიების გაგრძელება დაკავების საფუძვლის დასამტკიცებლად ან გასაქარწყლებლად.¹⁵²

¹⁴⁶ Merabishvili v. Georgia, ECtHR, 28/11/2017, 72508/13, 106

¹⁴⁷ Gusinskiy v. Russia, ECtHR, 19/04/2004, 70276/01, 75

¹⁴⁸ Nikolaishvili v. Georgia, ECtHR, 13/03/2009, 37048/04, 93

¹⁴⁹ Lawless v. Ireland, ECtHR, 01/07/1961, 332/57, 13-14; Ireland v. the United Kingdom, ECtHR, 18/01/1978, 5310/71, 196

¹⁵⁰ Schwabe and M.G. v. Germany, ECtHR, 01/12/2011, 8080/08;8577/08, 72

¹⁵¹ Petkov and Profirov v. Bulgaria, ECtHR, 24/01/2014, 50027/08, 52; Erdagöz v. Turkey, ECtHR, 22/10/1997, 127/1996/945/746, 51

¹⁵² O'Hara v. the United Kingdom, ECtHR, 16/10/2001, 37555/97, 36

ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტის თანახმად, პირის დაკავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მისი მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი (გონივრული) ეჭვი. „გონივრული ეჭვი“ სისხლის სამართლის დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ გულისხმობს, რომ არსებობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესვენა პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენა.¹⁵³

ამ მხრივ, საინტერესოა, რომ ანონიმური წყაროსაგან მიღებული ყურმოკრული მტკიცებულება, რომელიც არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად „გონივრული ეჭვის“ არსებობისათვის, რომ პირი მონაწილეობდა მათეასთან დაკავშირებული საქმიანობებში.¹⁵⁴

აღნიშნულის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი წლების წინ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მოგვიანებით უკან წაიღეს ეჭვმიტანილებმა, არ აღმოფხვრავს გონივრული ეჭვის არსებობას განმცხადებლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ამან არ იქონია გავლენა დაკავების ორდერის კანონიერებაზე.¹⁵⁵

საინტერესოა, ტერმინი „სამართალდარღვევის“ მნიშვნელობაც. აუცილებელია, რომ „სამართალდარღვევა“ კონკრეტულად იყოს დადგენილი, სახელმწიფოს მიერ დანაშაულისაკენ მუდმივად მიდრეკილად აღქმული პირის პრევენციული მიზნით დაკავება/დაპატიმრება დაუშვებელია.¹⁵⁶

ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტების კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში გათვალისწინებული „კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად“ გულისხმობს ნაციონალური კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებთან შესაბამისობას.¹⁵⁷

შესაბამისად, დაკავების პროცედურა შიდასახელმწიფოებრივ კანონში ზუსტად უნდა იყოს განწერილი და თითოეული თავისუფლების შეზღუდვა აღნიშნული წესების მკაცრი დაცვით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული წესის უგულებელყოფის საილუსტრაციო მაგალითად გამოგვადგება შემთხვევა, როდესაც სასამართლო დაკავების განჩინებას გასცემს თავისი კომპეტენციის დარღვევით.¹⁵⁸

ქართულ მაგალითზე, ხსენებული უთანაბრდება ვითარებას, როდესაც დანაშაულისათვის, რომლისთვისაც პირს ედავებიან, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული არ არის, თუმცა მაინც ხდება პირის დაკავებისათვის ნებართვის გაცემა.

¹⁵³ Ilgar Mammadov v. Azerbaijan, ECtHR, 29/05/2019, 15172/13, 88

¹⁵⁴ Labita v. Italy, ECtHR, 06/04/2000, 26772/95, 156

¹⁵⁵ Talat Tepe v. Turkey, ECtHR, 21/12/2004, 31247/96, 61

¹⁵⁶ Ciulla v. Italy, ECtHR, 22/02/1989, 11152/84, 40; Shimovolos v. Russia, ECtHR, 21/06/2011, 30194/09, 54

¹⁵⁷ Kemmache v. France, ECtHR, 24/11/1994, 12325/86; 14992/89, 37

¹⁵⁸ Marturana v. ITA, ECtHR, 04/03/2008, 63154/00, 78

საინტერესოა, დაკავების „კანონიერების“ მოთხოვნა, როგორც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. მოთხოვნა დაკავების კანონიერების შესახებ გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლიდან, რაც გულისხმობს, რომ იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და აუცილებელია შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობის როგორც მატერიალურ, ასევე, საპროცესო მოთხოვნებს.¹⁵⁹

ამავდროულად, თავისუფლების შეზღუდვის თითოეული პირობა და თავად კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი ეროვნულ კანონმდებლობაში¹⁶⁰, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილი სტანდარტი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

ნათელია, რომ იმგვარი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა, რომელიც დაარეგულირებდა პიროვნების დაკავებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, თავისთავად არღვევს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს.¹⁶¹

ამასთან, მხოლოდ კანონის არსებობა არ არის საკმარისი, არამედ მასში აღწერილი პროცედურებები და ყველა პირობა ეროვნულ დონეზე უნდა იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგებად ფორმულირებული.¹⁶²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფა დაუშვებელია კონვენციის ხელშემკვრელი ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან, რადგან აღნიშნული უცილობლად გამოიწვევს ქვეყნის პასუხისმგებლობას ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით.

5.2. სხვა საერთაშორისო რეგულაციები და აქტები

აღნიშნულ ქვეთავში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან ერთად მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმია ადამიანის უფლებების, მათ შორის, თავისუფლების უფლების განუხრელი დაცვის კონტექსტში.

აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტიც, თავის მხრივ, ადგენს შესაბამის რეგულაციებს პირის დაკავებასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვნად ჰგავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მსგავსად საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლიც იცავს პირის თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას. აღნიშნული გასაგები და მისასაღმებელია იმდენად, რამდენადაც პიროვნების თავისუფლების და

¹⁵⁹ Del Rio Prada v. Spain, ECtHR, 21/10/2013, 42750/09, 1

¹⁶⁰ Merabishvili v Georgia, ECtHR, 28/11/2017, 72508/13, 71

¹⁶¹ H.L. v. UK, ECtHR, 05/10/2004, 45508/99; 78

¹⁶² Jecius v. Lithuania, ECtHR, 31/07/2000, 34578/97, 56

უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფის გარეშე სხვა დანარჩენი უფლებების დაცვა უბრალოდ წარმოუდგენელია.¹⁶³

საინტერესოა, აღნიშნული მუხლის პირველი პარაგრაფის მესამე წინადადებაც, რომლის თანახმად, არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა. ე.წ. „ტოკიოს წესების“ თანახმად¹⁶⁴, აღნიშნულის შესატყვისად შეიძლება ჩაითვალოს მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის, საზოგადოებისათვის აშკარა და მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის აღკვეთა სხვაგვარად შეუძლებელია. რა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებულ საფუძველში უცილობლად იგულისხმება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის აუცილებლობა თავისუფლების შეზღუდვის მომენტში. აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 შესწორების თანახმად, დაუშვებელია პირის თავისუფლების შეზღუდვა დასაბუთებული ვარაუდის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია მიუკერძოებელი დამკვირვებლის დასარწმუნებლად, რომ პირმა ჩაიდინა ან იდენს დანაშაულს.¹⁶⁵

სხვა საერთაშორისო რეგულაციების კონტექსტში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით - ე.წ. „რომის სტატუტით“ დადგენილი სტანდარტებიც. აღნიშნული წესდების 58-ე მუხლი არეგულირებს პირის დაპატიმრების ორდერის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესდებაც უპირობოდ მიუთითებს პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს აუცილებლობას, ურომლისოდაც მართლმსაჯულების მიზნების ეფექტურ განხორციელებას ადგილი არ ექნება.¹⁶⁶ ამავდროულად, დაპატიმრების ორდერის გაცემის შემდეგ, აუცილებელია პირის დაკავება დაუყოვნებლივ დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს, რომელიც დაადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების კანონთან შესაბამისობა/შეუსაბამობის საკითხს.¹⁶⁷

აქვე, მნიშვნელოვანია შევხებით არასრულწლოვანთა დაკავების საკითხს და აღნიშნულთან დაკავშირებით დადგენილ რეგულაციებს. თავდაპირველად, არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ისინი გაცილებით სენსიტიურები არიან დაკავების მავნე გავლენებთან მიმართებით, ვიდრე სრულწლოვანები. ამიტომაც, აღნიშნული იძულების ღონისძიება მათ მიმართ უიშვიათეს შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს, რაც განმტკიცებული უნდა იყოს კანონმდებლობაშივე როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. მართლაც, ჩვენს რეალობაში, ქართული კანონმდებლობით, ზოგად პრინციპად არის

¹⁶³ Human Rights in Administration of Justice: a Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003, 161

¹⁶⁴ იხ. ტოკიოს წესები, პუნქტი 6.1, 6.2

¹⁶⁵ M. W. Janis, r. S. Kay, A.W. Bradley, European Human Rights law, Text and materials, third ed. 2008, 700

¹⁶⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 1998, მუხლი 58 (1)

¹⁶⁷ იქვე, მუხლი 59(2)

აღიარებული დაკავების უკიდურესობა, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, დაკავება დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.¹⁶⁸ აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთან მიმართებით მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტს ადგენს ე.წ. „პეკინური წესები“. აღნიშნული წესების თანახმად, არასრულწლოვნის დაკავების შემთხვევაში შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ/პირმა დაყოვნების გარეშე უნდა განიხილო მისი გათავისუფლების საკითხი.¹⁶⁹

ყოველივე ზემოხსენებულის მხედველობაში მიღებით, მნიშვნელოვანია, თითოეული სახელმწიფო/დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი თავისუფლების შეზღუდვის მომენტში მოქმედებდეს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა მომავალში აცილებულ იქნას სახელწიფოს პასუხისმგებლობა.

თავი VI. დაკავების წესი საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ნაციონალური სამართლებრივი სისტემები შეიძლება დაიყოს სამართლის ოჯახების მიხედვით. აღნიშნული ოჯახებიდან, ძირითადად, განასხვავებენ ორი ტიპის სამართლის ქვეყნებს, ესენია: კონტინენტური ევროპის სამართალი და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახი. ამ ორ სისტემას შორის ძირითადი განსხვავება სამართლის წყაროებშია. კონტინენტური ევროპის სამართალში სამართლის ძირითადი წყარო პოზიტიური (დაწერილი) კანონმდებლობაა, მაშინ, როდესაც ანგლო-ამერიკული სამართლის ძირითადი წყარო პრეცედენტული სამართალია. მეორე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი იურიდიულ აზროვნებაშია. კონტინენტური ევროპის იურიდიული აზროვნების წესი დედუქციურია - მიმართულია ზოგადიდან კონკრეტულსკენ, რაც გულისხმობს, რომ იურისტი სამართლის ზოგადი ნორმის საფუძველზე წყვეტს კონკრეტულ შემთხვევას. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების იურისტის აზროვნება ინდუქციურია - მიმართულია კერძოდან ზოგადისკენ, იურისტი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე აყალიბებს ზოგად პრინციპს.¹⁷⁰ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა, მოკლედ მიმოვიხილოთ დაკავების წესი ორივე ტიპის სამართლის ქვეყნებში.

¹⁶⁸ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი

¹⁶⁹ იხ. პეკინის წესები, პუნქტი 10.2

¹⁷⁰ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 217-218

6.1. დაკავების წესი ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში

ანგლო-ამერიკული სამართალი, ხშირად მოხსენიებული როგორც საერთო სამართალი (Common Law), აერთიანებს ინგლისის, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნების, ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალს. ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახში გამოყოფენ ინგლისური და ამერიკული სამართლის ქვეყნებს.¹⁷¹

ინგლისური სამართლის ქვეყნებში შემავალი სახელმწიფოებია, მაგალითად: ავსტრალია, ინგლისი, უელსი, კანადა, ინდოეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ბანგლადეში, მალაიზია, ბირმა, ფიჯი, ნიგერია, უგანდა, ნაურუ და სინგაპური.

ხოლო, ამერიკული სამართლის ქვეყნებს განეკუთვნება ამერიკის შეერთებული შტატები (გარდა შტატ ლუიზიანისა, სადაც სამოქალაქო სამართალში დომინირებს ფრანგული სამართლის ტრადიციები), პალაუ, მარშალის კუნძულები.¹⁷² შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული სამართალი, ფაქტობრივად, 50 დამოუკიდებელი შტატის სამართალია.

აღნიშნული ქვეყნებიდან მიმოვიხილავთ ინგლისსა და უელსში დაკავების წესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინგლისისა და უელსის ქვეყნებში, საქართველოს მსგავსად, დაკავებას როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებას ახორციელებს პოლიცია. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტია კანონი „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, რომელიც წერილობითი სახით მიღებულ იქნა 1984 წელს. აღნიშნული კანონის საფუძველზე, ასევე მიღებულ იქნა „პრაქტიკის კოდექსი“. სწორედ ხსენებული ნორმატიული აქტები გახდა სამომავლოდ მნიშვნელოვანი პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბების საფუძველი.¹⁷³

ზემოაღნიშნულმა კანონმა „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, რომელსაც შემოკლებით იხსენიებენ როგორც „PACE“, ახლებური პრაქტიკა დაამკვიდრა პოლიციის მიერ ბრალდებულ დაკავებასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ კანონმა თვითონ განსაზღვრა დაკავებადი/არადაკვებადი დანაშაულები. აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, დანაშაული დაკავებადია, თუ იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთი ან მეტი წლის ვადით და ჩადენილია 21 წლის ასაკს მიღწეული, ნასამართლობის არმქონე პირის მიერ.¹⁷⁴

კანონის 25-ე მუხლი კი ადგენს დაკავების ზოგად პრინციპებს (General arrest conditions). აღნიშნული მუხლის ნაწილები სახელდებით იხსენიებენ შემთხვევებს,

¹⁷¹ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004., 216

¹⁷² იქვე, 213

¹⁷³ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 102

¹⁷⁴ იხ. "Police and Criminal Evidence" "PACE", Act 1984, section 24

როდესაც კონსტებელს (პოლიციელი, პოლიციელი ქალი) ენიჭება უფლებამოსილება განახორციელოს პირის დაკავება. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოიშვას, როდესაც: პოლიციელისთვის უცნობია პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და თან დადგენა შეუძლებელია; პირი იტყუება თავის ვინაობასთან დაკავშირებით; უწყების გასაგზავნად მისამართის დადგენა ვერ ხერხდება; დაკავება აუცილებელია იმისათვის, რომ აღკვეთილი იქნეს: პირის მიერ თავისთვის ან სხვისთვის ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის მიყენება, მთავარ გზაზე მოძრაობის კანონშეუსაბამო შეფერხება; ასევე, დაკავება აუცილებელია პირისგან ბავშვის ან სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფის დასაცავად.¹⁷⁵

გარდა ზემოაღნიშნული საფუძვლებისა, ნებისმიერ პირს შეუძლია დააკავოს მეორე პირი, მისი თანდასწრებით ჩადენილი მშვიდობის დარღვევისათვის (breach of the peace). ასევე, მაშინ, როცა ქმედება ჯერ კიდევ არ ჩადენილა, მაგრამ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ჩადენილ იქნება დაუყოვნებლივ. ასევე, როცა „მშვიდობის დამრღვევი“ ქმედება განხორციელდა და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი განახლდება, თუ მისი ჩამდენი არ იქნა დაკავებული. პირის დაკავება არ დაიშვება იმ შემთხვევაში, როცა „მშვიდობის დარღვევა“ ჩადენილ იქნა, მაგრამ არ არსებობს საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ იგი განახლდება.¹⁷⁶

საინტერესოა, რომ განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან, ზემოთ განხილული ქვეყნების სამართლის მიხედვით, კერძო პირს ენიჭება ისეთივე დაკავების უფლებამოსილება, როგორც სამართალდამცავს, მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, მოქალაქის მიერ დამნაშავეს დაკავება უნდა განხორციელდეს „დამნაშავეს შპყრობის“ ინსტიტუტის შესაბამისად.

6.2. დაკავების წესი რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში (Civil Law) შეიძლება გამოიყოს რომანული სამართლისა და გერმანული სამართლის ქვეყნები. რომანული სამართლის ოჯახის წევრია: საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, მონაკო, ჰაიტი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია. გერმანული სამართლის ოჯახი გერმანული იურიდიული მეცნიერების საფუძველზე აღმოცენდა. აღნიშნული ოჯახის წარმომადგენელია: გერმანია, ავსტრია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი, საქართველო.¹⁷⁷

საინტერესოა, თავდაპირველად განვიხილოთ დაკავების წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები ბელგიის სამართლის მიხედვით.

¹⁷⁵ იხ. "Police and Criminal Evidence" "PACE", Act 1984, section, 25

¹⁷⁶ ევროკავშირის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 104

¹⁷⁷ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 212-213

დაკავება საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებულია კანონში „წინასწარი პატიმრობის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1990 წელს. ბელგიის კანონმდებლობით, პირის დაკავებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საფუძველია დანაშაულზე წასწრება. ასეთ შემთხვევაში, პოლიციელს ენიჭება უფლებამოსილება გამოიყენოს პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავების სახით. ამავე დროს, მსგავსი სიტუაციის არსებობისას პირის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პირის დაკავებაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი.¹⁷⁸

განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან, ბელგიაში დაკავების მაქსიმალური ვადა არის 24 საათი. 24 საათზე მეტი ვადით თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოსამართლის მიერ.¹⁷⁹

განსხვავებით ბელგიაში მოქმედი რეგულაციისა, საფრანგეთის სსსკ-ის თანახმად, 24 საათზე მეტი დროით პირის მიმართ დაკავების გახანგრძლივება დამატებით 24 საათის განმავლობაში შეუძლია პროკურორს. თუმცა, ამისათვის უნდა არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები. საინტერესოა, რომ საფრანგეთში მხოლოდ დაკითვის მიზნითაც კი შეიძლება მოხდეს პირის დაკავება, რასაც „საპოლიციო დაკავებას“ უწოდებენ. აღნიშნული დაკავების დროს დამცველის მონაწილეობა არ დაიშვება. თუმცა, 1993 წლის 04 იანვარს და 24 აგვისტოს მიღებული კანონების თანახმად, გაუმჯობესდა დაკავებულის სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, ეჭვმიტანილს შეუძლია დაკავებიდან 20 საათის შემდეგ მოითხოვოს დამცველთან შეხვედრა. აღნიშნული ვადა 35 საათამდე გაიზარდა ისეთი სახის დანაშაულებზე, როგორცაა: პროსტიტუციაში შეამავლობა, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ ან ძალადობის გამოყენებით და ფულადი თანხების გამოძალვა.¹⁸⁰

ქართული წესისგან განსხვავებით, სადაც დადგენილია 48 საათიანი ვადა პირის დაკავების შესახებ სასამართლოს ინფორმირებისათვის, ესპანეთის საპროცესო კოდექსი ადგენს 24 საათის განმავლობაში მოსამართლისთვის მიმართვის ვალდებულებას. თავის მხრივ, სასამართლომ 72 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების ან მისი გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ხორციელდება ბრძანებით, რომელიც გადაეცემა პროკურორს, ასევე მის შესახებ ეცნობება ბრალდებულს და კერძო ბრალმდებელსაც (მისი მონაწილეობის შემთხვევაში). აღნიშნული ბრძანების გაუქმების მოთხოვნა ბრალდებულს შეუძლია ზეპირად ან წერილობით.¹⁸¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ჩვენი კანონმდებლობა შექმნილია გერმანული სამართლის

¹⁷⁸ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 40

¹⁷⁹ იქვე

¹⁸⁰ იქვე, 137

¹⁸¹ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 403

უმნიშვნელოვანესი გავლენით, ბუნებრივია, რომ საქართველოში მოქმედი დაკავების წესი უფრო მეტად ჰგავს რომანულ-გერმანულ სამართლის ქვეყნებში არსებულ რეგულაციებს, ვიდრე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში დადგენილ სტანდარტებს.

თავი VII. დაკავების სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკას დაკავებულ პირთა შესახებ.¹⁸² აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს ინფორმაციას დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული ადამიანების რაოდენობის შესახებ. ასევე, ინფორმაციას იმის შესახებ თუ რამდენ ადამიანს აღენიშნებოდა დაზიანება დაკავებამდე/დაკავებისას/დაკავების შემდეგ და აღნიშნულ კონტექსტში რამდენმა პიროვნებამ გამოთქვა პრეტენზია პოლიციელის მიმართ. გარდა ამისა, გამიჯნულია დაკავებულთა რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით. და ბოლოს, ხსენებულ სტატისტიკაში აღნიშნულია ინფორმაცია თუ რა ბედი ეწიათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებულ პირებს, კერძოდ, რამდენი იქნა გადაყვანილი სასამართლოში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, სამკურნალო დაწესებულებაში, რამდენი გათავისუფლდა მოსამართლის, გამოძიების, დამკავებლის მიერ ხელწერილით და რამდენს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.

აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ იქნა სულ 16 536 პირი, საიდანაც 338 იყო არასრულწლოვანი, ხოლო 374 - მდედრობითი სქესის. 2013 წლის ხსენებულ სტატისტიკასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ზუსტად ვერ ხდება გამიჯნვა თუ რამდენი იყო სისხლის სამართლის წესით დაკავებული და რამდენი ადმინისტრაციული წესით. მართალია, აღნიშნული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენ პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, თუმცა ცალკე არის ნახსენები სხვადასხვა მიზეზის გამო გათავისუფლებული პირები, რომელშიც შეიძლება შედიოდეს როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებულები.¹⁸³

2014 წელს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ იქნა სულ 17 087 პირი. აღნიშნული პირებიდან მდედრობითი სქესის იყო - 442 პირი, ხოლო არასრულწლოვანი - 338.¹⁸⁴ ანალოგიური შენიშვნა უნდა ითქვას ხსენებულ სტატისტიკასთან დაკავშირებითაც. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება 2013 და 2014 წლების მონაცემებს შორის არ ყოფილა.

¹⁸² <https://info.police.ge/page?id=233>

¹⁸³ <https://info.police.ge/uploads/5cf4bf24e21b0.pdf>

¹⁸⁴ <https://info.police.ge/uploads/5cf4bf765c558.pdf>

2015 წელს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ იქნა ჯამში - 16 416 პირი, მათ შორის, 252 არასრულწლოვანი და 447 მდედრობითი სქესის.¹⁸⁵ საინტერესოა, რომ 2015 წელს თითქმის იმდენივე პირს შეეზღუდა თავისუფლება, რამდენსაც 2013 წელს, განსხვავება მხოლოდ 120 პირია. აღსანიშნავია, რომ სრულყოფილად ამ წლის მონაცემებითაც ვერ იშიფრება ინფორმაცია სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა ზუსტი ოდენობის შესახებ.

განხილულ სამ წელთან შედარებით, საგრძნობლად მცირდება დაკავებულ პირთა ოდენობა 2016 წელს. კერძოდ, შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2016 წელს მოთავსებული იქნა სულ - 13 081 პირი, მათ შორის, 125 იყო არასრულწლოვანი, ხოლო 352 მდედრობითი სქესის.¹⁸⁶

საინტერესოა, რომ 2017 წელს კიდევ უფრო მცირდება 2016 წლის მონაცემები. კერძოდ, შსს-ს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2017 წელს შესახლებული იქნა ჯამში 11 812 პირი, საიდანაც მხოლოდ 102 პირი იყო არასრულწლოვანი, ხოლო 316 მდედრობითი სქესის.¹⁸⁷

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გათვალისწინებულ იქნა ზემოაღნიშნულ წლებთან დაკავშირებული შენიშვნა, კერძოდ, შსს ინფორმაციას იძლევა უკვე გამიჯნულად თვეების მიხედვით და ზუსტი იმ ოდენობის შესახებ, თუ რამდენი პირი იყო დაკავებული სისხლის სამართლის და რამდენი ადმინისტრაციული წესით. 2018 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებული იქნა სულ 12 995 პირი, საიდანაც 2017 წლის მონაცემის მსგავსად, არასრულწლოვანი იყო მხოლოდ 102, ხოლო მდედრობითი სქესის ამ წელს იყო 380 პირი. რაც შეეხება გამოსწორებულ შენიშვნას, 2018 წლის მონაცემების თანახმად, სისხლის სამართლის წესით დაკავებულ იქნა 7 764 პირი, ადმინისტრაციული სამართლის წესით 5 188 პირი, ხოლო მიგრანტი - 43 პირი.¹⁸⁸

საინტერესოა, ასევე, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემები¹⁸⁹, რომელიც უფრო მეტად სრულყოფილია, ვიდრე გასული წლების სტატისტიკა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ გამიჯნულია დაკავების წესის მიხედვით დაკავებულ პირთა ოდენობა, ამავდროულად, მუხლობრივად არის ჩაშლილი თავისუფლებაზე ზღუდულ პირთა რაოდენობა. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2019 წლის პირველ კვარტალში სულ დაკავებულ იქნა 3 944 პირი, მათ შორის, სისხლის სამართლის წესით - 2 501, ადმინისტრაციული სამართლის წესით - 1 437, ხოლო მიგრანტი - 6 პირი. აღნიშნული პირებიდან, არასრულწლოვანი იყო 36 პირი, მდედრობითი სქესის კი 105 პირი. გარდა ამისა, უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო 231, ხოლო მოქალაქეობის არმქონე იყო

¹⁸⁵ <https://info.police.ge/uploads/5cf4bfa743196.pdf>

¹⁸⁶ <https://info.police.ge/uploads/5cf4bfe6df068.pdf>

¹⁸⁷ <https://info.police.ge/uploads/5cf4c012b698f.pdf>

¹⁸⁸ https://info.police.ge/page?id=282&parent_id=233

¹⁸⁹ https://info.police.ge/page?id=283&parent_id=233

მხოლოდ ერთი პირი. სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირთა შესახებ უნდა ითქვას, რომ ყველა მეტი პირი დაკავებულ იქნა სსკ-ის 260-ე მუხლის ბრალდებით, რაც გულისხმობს ნარკოტიკულ დანაშაულს. აღნიშნული მუხლით დააკავეს - 628 პირი. ასევე, მნიშვნელოვნად დიდია ოჯახში ძალადობის ბრალდებით დაკავებულ პირთა ოდენობა. სსკ-ის 126¹ მუხლით დაკავებული იყო 537 პირი, რაც საგანგაშო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია 2013-2018 წლებში დაკავების შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის და აღნიშნული შუამდგომლობების დაკმაყოფილების ოდენობის შესახებ, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ 2013 წელს სასამართლომ განიხილა ბრალდების მხარის 110 შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ, საიდანაც დაკმაყოფილებულ იქნა 92; 2014 წელს - 317, დაკმაყოფილდა - 250; 2015 წელს - 232, სასამართლომ დააკმაყოფილა - 184; 2016 წელს - 22, შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 188 შემთხვევაში; 2017 წელს - 307 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა - 263, ხოლო 2018 წელს - 581, დაკმაყოფილდა - 555.¹⁹⁰ აღნიშნულ მონაცემთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შეიმჩნევა საკმაოდ მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 2013 წლის მონაცემს ხუთჯერ და კიდევ უფრო მეტად აღემატება 2018 წლის მონაცემი. ასევე, უნდა ითქვას, რომ ძალიან დიდია დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა ოდენობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ როგორც ბრალდების მხარე, ასევე სასამართლო უფრო მეტად უნდა ერიდებოდეს პირთა მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავების გამოყენებას, ვიდრე ეს დღეს ხდება. ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ საგანგაშოა, რაც სახელმწიფოს მხრიდან დაფიქრებას საჭიროებს. აღნიშნული მონაცემის ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის ზრდასთან.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ნაშრომში განხილული იქნა დაკავების როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების საკანონმდებლო რეგლამენტაცია და აღნიშნულის შესაბამისობა საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკასთან.

ნაშრომის პირველ თავში საუბარი გვექონდა მიმოსვლის თავისუფლების ცნებაზე, სადაც ხაზი გაესვა აღნიშნული უფლების არააბსოლუტურ ხასიათს. ასევე, დადგინდა იქნა თუ კონკრეტულად რა ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის მომენტად, რის შემდგომაც მიმოვიხილეთ თავისუფლების კონსტიტუციური ბუნება. აღნიშნული ქვეთავის ჭრილში შეფასებულ იქნა კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში თავისუფლების უფლების დაცვის ახლებურად ჩამოყალიბების მიზმი და მისი გავრცელების შესაძლებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. ხსენებულის შემდეგ,

¹⁹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს N1-04139/14513 მომართვის წერილი

პიროვნების თავისუფლება განხილული იქნა ევროპული კონვენციის კონტექსტში, რომლის საილუსტრაციოდაც გამოყენებული იქნა პრაქტიკული მაგალითები. აღნიშნული მაგალითების მიმოხილვით, ნათელი გახდა თუ რა ითვლება კონვენციით დადგენილი სპეციალური პროცედურის დარღვევად და სიტყვა „დაუყოვნებლივ“-ის პრაქტიკული მნიშვნელობა. პირველი თავი დასრულებულ იქნა დაკავების განსხვავებით მასთან მომიჯნავე სხვა ინსტიტუტებისგან, მათ შორის, პატიმრობისგან, თავისუფლების აღკვეთისგან და ადმინისტრაციული დაკავებისგან. ხსენებულ ქვეთავში მიმოვიხილეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დღეს მოქმედ რედაქციაში არსებული მრავალი საფრთხე, რაც დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლების უფლების განუხრელი დაცვასთან, რის შედეგადაც მივედით დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა უპირობოდ საჭიროებს გადახედვას.

ნაშრომის მეორე თავი დაეთმო პირის დაკავებას სასამართლოს განჩინების საფუძველზე. აღნიშნული თავი დაიწყო დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებით სტანდარტზე საუბრით, რა დროსაც ხაზი გაესვა აღნიშნული სტანდარტის მნიშვნელობას და დადებითად შეფასდა მისი გამოყენება დაკავების ორივე სახესთან მიმართებით იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს სასამართლო კონტროლი. თუმცა, მითითებული იქნა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით საფრთხეების რეალურად და არა შაბლონურად დასაბუთების აუცილებლობაზე როგორც პროკურორების, ასევე, მოსამართლეების მხრიდან. აღნიშნულის შემდეგ, საუბარი გვექონდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის სავალდებულობაზე, რომლის განხილვისას მივედით ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ხსენებული შეეხება მხოლოდ სანქცირებულ დაკავებას და კავშირი არ აქვს გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში პირის თავისუფლების შეზღუდვასთან. ხსენებულის შემდეგ, გადავედით სანქცირებული დაკავების ფორმალურ საფუძვლებზე, რა დროსაც განხილულ იქნა მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეები. აღნიშნული საფრთხეების კონტექსტში, პრაქტიკის გასაანალიზებლად ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხილული იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც მოყვანილი იქნა შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითები. აღნიშნულ თავშივე განხილული იქნა სასამართლოს განჩინებით დაკავების ახალი ფორმალური საფუძველი და მისი დამატების აუცილებლობის მიზეზები. მეორე თავი დასრულებულ იქნა განჩინების გამოტანის ფორმასა და წესზე საუბრით, რა დროსაც შესაბამისი მაგალითებით დეტალურად იქნა მიმოხილული პრაქტიკაში დადგენილი მიდგომები. ასევე, უარყოფითად იქნა შეფასებული ბრალდების მხარის მიერ დაკავებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობა.

ნაშრომის მესამე თავი იყო ყველაზე მოკულობითი, სადაც დეტალურად იქნა მიმოხილული არასანქცირებული დაკავების როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ასევე ფორმალური საფუძვლები. ქართული საგამოძიებო

პრაქტიკიდან მოყვანილი იქნა შესაბამისი მაგალითები დაკავების თითოეულ ფორმალურ საფუძველთან მიმართებით. ასევე, გაიცა რეკომენდაცია დაკავების ფორმალური საფუძვლის „პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით“ ახლებურად ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. შესაბამისი მაგალითების მოყვანით ხაზი გაესვა თითოეული საფუძვლის მნიშვნელობას/აუცილებლობას და საფრთხეების რეალურად და არა შაბლონურად დასაბუთების საჭიროებას. ასევე, ყურადღება გამახვილდა მიმალვის საფრთხის პიპოთეტურობაზე და სასამართლო/საგამოძიებო პრაქტიკიდან მოყვანილი იქნა მაგალითებით, სადაც ერთ შემთხვევაში მხოლოდ ამ საფუძვლით პირის დაკავება სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია, ხოლო მეორე შემთხვევაში კანონიერად. გარდა ამისა, პრაქტიკის ჭრილში განხილული იქნა ძეხნილი პირის დაკავების პროცესი მისი ბრალდებულად ცნობიდან აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/ძალაში დატოვების შესახებ სასამართლო განხილვის ჩათვლით. აღნიშნული თავი დასრულებული იქნა არასანქცირებული დაკავების ახალი ფორმალური საფუძვლის შემოღების მიზნების და მისი არსებობის აუცილებლობის განხილვით.

მეოთხე თავში დეტალურად იქნა მიმოხილული დაკავების წესი. თავდაპირველად, განვიხილეთ დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტები. აღნიშნულ კონტექსტში მიმოვიხილეთ კერძო პირების მიერ დანაშაულზე წასწრების შემთხვევები და ის წესი თუ როგორ უნდა განხორციელდეს მათ მიერ დამნაშავის შეპყრობა. აღნიშნული თვალსაზრისით, შედარებით-სამართლებრივ ჭრილში განვიხილეთ მოქმედი კოდექსის განსხვავებები მისი წინამორბედი კოდექსისგან და დადებითად შევაფასეთ ახალი რეგულაციები. აღნიშნულ თავში, ასევე, საუბარი გვექონდა გასაგები ფორმით დაკავების საფუძვლის, მათ შორის, სსკ-ის შესაბამისი ნორმის განმარტების მნიშვნელობაზე და აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებზე. გარდა აღნიშნულისა, დაკავების წესის კონტექსტში ამომწურავად განვიხილეთ დაკავებულის უფლებები, დაკავების ოქმი და მისი სავალდებულო რეკვიზიტები. კერძოდ, პრაქტიკულ ჭრილში მიმოვიხილეთ თუ როგორ ხდება დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტება და ხაზი გაესვა აღნიშნული უფლებებით რეალურად სარგებლობის მნიშვნელობას. ასევე, საუბარი გვექონდა სამართალდამცავების მხრიდან დაკავების ოქმის სწორად და კანონშესაბამისად შედგენის აუცილებლობაზე და აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ ზიანზე. დაკავების ვადის კონტექსტში უარყოფითად იქნა შეფასებული დაკავებიდან 48 საათის შემდეგ პირის გათავისუფლება/მისთვის ბრალდების არ წარდგენა იმ მხრივ, რომ დადგენილი ვერ იქნება დაკავების უკანონობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კერძოდ, თუ პირს არ წაეყენება ბრალი, ბრალდების მხარე აღარ მიმართავს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რის გამოც პირის დაკავება ვერ გაივლის სასამართლო კონტროლს (ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე). შესაბამისად, მივედით

დასკვნამდე, რომ აღნიშნულ ჭრილში აუცილებელია საპროცესო კანონმდებლობის გადახედვა. აღნიშნულ თავშივე ამომწურავად იქნა ჩამოთვლილი დაკავებიდან გათავისუფლების საფუძვლები. ხსენებული საფუძვლები მიმოვიხილეთ როგორც საკანონმდებლო რეგლამენტაციის, ასევე პრაქტიკულ-სამართლებრივ ასპექტში, რაც გამყარებული იქნა შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით. ნაშრომის მეოთხე თავი დავასრულეთ უკანონო დაკავების გამო კომპენსაციის მიღების უფლების მნიშვნელობაზე საუბრით. აღნიშნულზე საუბრისას მივედით დასკვნამდე, რომ ხსენებული უფლების შესახებ დაკავებულს უნდა შეატყობინონ როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე, თუ პირველი წარდგენის სხდომის მოსამართლე დაკავებას უკანონოდ მიიჩნევს, მან აუცილებელია ხსენებული უფლების შესახებ აღნიშვნა გააკეთოს თავის განჩინებაში, რაც უფრო მეტად იქნება გარანტი იმისა, რომ დაკავებული რეალურად შეძლებს აღნიშნული უფლებით სარგებლობას და ხსენებულს არ ექნება მხოლოდ დეკლარირებული ხასიათი.

ნაშრომის მე-5 თავში განვიხილეთ დაკავებასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეგულაციები და სტანდარტები. პირველ ეტაპზე, დეტალურად მიმოვიხილეთ ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს მიერ დაკავებასთან დაკავშირებული სტანდარტები, ხოლო მეორე მხრივ, ევროპული კონვენციის გარდა, მიმოვიხილეთ სხვა საერთაშორისო რეგულაციები და აქტები, მათ შორის, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები შესახებ“, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება და ე.წ. „ტოკიოს წესები“, ასევე, არასრულწლოვნებთან მიმართებით განვიხილეთ ე.წ. „პენიკური წესები“ და ხაზი გავუსვით სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად მოქმედების აუცილებლობას.

მეექვსე თავში მოკლედ მიმოვიხილეთ დაკავების წესი საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. თავდაპირველად, ერთმანეთისგან გავმიჯნეთ აღნიშნული ორი ოჯახის სამართლის ქვეყნები. შემდეგ, განვიხილეთ დაკავების წესი ორივე ტიპის სახელმწიფოებში და დასკვნის სახით ხაზი გავუსვით საქართველოს კანონმდებლობის მსგავსებას კონტინენტური ევროპის სამართლის სხვა ქვეყნებთან.

ნაშრომის ბოლო მეშვიდე თავში მოვახდინეთ დაკავების სტატისტიკური ანალიზი. ნაშრომზე მუშაობის პროცესში თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია დაკავების შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის და აღნიშნული შუამდგომლობების დაკმაყოფილების ოდენობის შესახებ, რამაც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. ამავდროულად, მიმოვიხილეთ შსს-ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირების ოდენობის შესახებ და განვახორციელეთ მათი ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილი იყო როგორც საერთო სასამართლოების, ასევე საკონსტიტუციო და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რამაც პრაქტიკული ანალიზის განხორციელებაში ხელშესახები როლი ითამაშა.

ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ლიტერატურა

1. მ.მარინაშვილი, მიმოსვლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008;
2. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, 2013;
3. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011;
4. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, 2004;
5. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017;
6. ანა ნაცვლიშვილი, ადამიანის უფლებები დაკავების დროს და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2017;
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015;
8. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012;
9. მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2015;
10. ლ. ფაფიაშვილი, „თავისუფლებამზღვეველი საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები“, შურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, ნომერი IV, 2011;
11. ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016;
12. გაბისონია ი., საკონსტიტუციო კონტროლი და დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებული საპროცესო პრობლემები, შურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, თბილისი, 2003;
13. მჭედლიძე ნ. (რედ), ჭელიძე ლ. (მთარგ.), პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, 2004;
14. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993;

15. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004;
16. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, 2018;
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. M. W. Janis, r. S. Kay, A.W. Bradley, European Human Rights law, Text and materials, third ed. 2008;
2. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003;
3. М. де Сальвия, Право на свободу и личную неприкосновенность, в сб. Комментарий к Конвенции о защите прав человека и основных свобод и практика ее применения- под общей ред. В.А. Туманова, Л.М. Энтина, М. изд-во НОРМА, 2002.

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984;
5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015;
6. საქართველოს 2018 წლის 30 ივლისის N3157 კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“, 1999;
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950;
9. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 1966;
10. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, 1789;
11. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 1998;
12. გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ („ტოკიოს წესები“), 1990;
13. გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“), 1985 ;

14. „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი მტკიცებულების შესახებ“, („PACE“), 1984;
15. თავისუფლების დიდი ქარტია, 1215.

სასამართლო გადაწყვეტილებები/განჩინებები

I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის № 2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

II. საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 თებერვლის N1044 განჩინება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის N6137 განჩინება;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის N6209-17 განჩინება;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის N10ა/2848 განჩინება;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 თებერვლის N10ა/536 განჩინება;
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის N10ა/2275-15 განჩინება;
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის N10ა/3393 განჩინება;
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 01 ოქტომბრის N10ა/4432-16 განჩინება;
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის N10ა/1686 განჩინება;
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის N10ა/2221 განჩინება;

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის N10დ/163 განჩინება;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 22 იანვრის N1გ-63 განჩინება;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1გ/1722-16;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N289აპ-17.
15. სისხლის სამართლის N092310819001 საქმე, 08/05/2018 შუამდგომლობა დაკავების შესახებ, 11/05/2018 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
16. სისხლის სამართლის N001150617003 საქმე, 29/06/2017 შუამდგომლობა დაკავების შესახებ;
17. სისხლის სამართლის N092130916001 საქმე, 03/02/2017 შუამდგომლობა დაკავების შესახებ;
18. სისხლის სამართლის N001060417001 საქმე, 06/04/2017 ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი;
19. სისხლის სამართლის N001090515001 საქმე, 21/05/2015 ბრალდებულის დაკავების ოქმი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Iskandarov v. RUS, ECtHR, 23/10/2010, 17185/05;
2. Amuur v. FRA, ECtHR, 25/06/1996, 19776/92;
3. Storck v. DEU, ECtHR, 16/06/2005, 61603/00;
4. Soldatenko v. UKR, ECtHR, 23/10/2008, 2440/07;
5. Nasrulloev v. RUS, ECtHR, 11/10/2007, 656/06;
6. Loukanov v. Bulgaria, ECtHR, 16/01/1996, 21915/93;
7. Denizci and Others v. Cyprus, ECtHR, 23/05/2001, 25316-25321/94, 27207/95;
8. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, ECtHR, 30/08/1990, 12244/86, 12245/86, 12383/86;
9. van der Leer v. NLD, ECtHR, 21/02/1990, 11509/85
10. Brogan v. the United Kingdom, ECtHR, 29/11/1988, 11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85;
11. Shamayev and Others v. Georgia and Russia, ECtHR, 12/04/2005, 36378/02;
12. Galuashvili v Georgia, ECtHR, 17/07/2008, 40008/04;
13. Keus v Netherlands, ECtHR, 25/10/1990, 12228/86;
14. Nechiporuk and Yonkalo v Ukraine, ECtHR, 21/04/2011, 42310/04;
15. Lutsenko v Ukraine, ECtHR, 03/07/2012, 6492/11;
16. Bykov v. Russia, ECtHR, 10/03/2009, 4378/02;

17. Sakik and Others v. Turkey, ECtHR, 26/11/1997, 87/1996/67/897-902;
18. BROGAN V. UNITED KINGDOM, ECtHR, 29/11/1988, 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85;
19. Merabishvili v. Georgia, ECtHR, 28/11/2017, 72508/13;
20. Gusinskiy v. Russia, ECtHR, 19/04/2004, 70276/01
21. Nikolaishvili v. Georgia, ECtHR, 13/03/2009, 37048/04;
22. Lawless v. Ireland, ECtHR, 01/07/1961, 332/57;
23. Ireland v. the United Kingdom, ECtHR, 18/01/1978, 5310/71;
24. Schwabe and M.G. v. Germany, ECtHR, 01/12/2011, 8080/08;8577/08;
25. Petkov and Profirov v. Bulgaria, ECtHR, 24/01/2014, 50027/08, 52;
26. Erdagöz v. Turkey, ECtHR, 22/10/1997, 127/1996/945/746;
27. O’Hara v. the United Kingdom, ECtHR, 16/10/2001, 37555/97;
28. Ilgar Mammadov v. Azerbaijan, ECtHR, 29/05/2019, 15172/13;
29. Labita v. Italy, ECtHR, 06/04/2000, 26772/95;
30. Talat Tepe v. Turkey, ECtHR, 21/12/2004, 31247/96;
31. Ciulla v. Italy, ECtHR, 22/02/1989, 11152/84;
32. Shimovolos v. Russia, ECtHR, 21/06/2011, 30194/09;
33. Kemmache v. France, ECtHR, 24/11/1994, 12325/86; 14992/89;
34. Marturana v. ITA, ECtHR, 04/03/2008, 63154/00;
35. Del Rio Prada v. Spain, ECtHR, 21/10/2013, 42750/09;
36. H.L. v. UK, ECtHR, 05/10/2004, 45508/99;
37. Jecius v. Lithuania, ECtHR, 31/07/2000, 34578/97.

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები:

1. <https://info.police.ge/page?id=233> (2019)
2. <https://info.police.ge/uploads/5cf4bf24e21b0.pdf>
3. <https://info.police.ge/uploads/5cf4bf765c558.pdf>
4. <https://info.police.ge/uploads/5cf4bfa743196.pdf>
5. <https://info.police.ge/uploads/5cf4bfe6df068.pdf>
6. <https://info.police.ge/uploads/5cf4c012b698f.pdf>
7. https://info.police.ge/page?id=282&parent_id=233 (2019)
8. https://info.police.ge/page?id=283&parent_id=233 (2019)

თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაცია

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს N1-04139/14513 მომართვის წერილი